# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№142 (9973) 2025 წლის 22 ოქტომბერი, ოთხშაბათი




# უმსხვილესი უცხოური ინვესტიცია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში

**საქართველოში 6 მილიარდ დოლარზე მეტი მოცულობის ინვესტიციით შემოდის კომპანია Eagle Hills-ი, ასეთი მოცულობის კაპიტალდაბანდება არის ჩვენი ქვეყნისადმი უდიდესი ნდობის გამოცხადება და ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ნათელი დადასტურება,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ Eagle Hills-ის საქართველოს ოფისის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

Eagle Hills-ის საქართველოს ოფისი მთავრობის მეთაურმა EMAAR-ჯგუფისა და Eagle Hills-ის დამფუძნებელ მოჰამედ ალაბართან და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ მარიამ ქვრივიშვილთან ერთად გახსნა.




იხ. 9 გვ.

**„საქართველოში 6 მილიარდ დოლარზე მეტი მოცულობის ინვესტიციით შემოდის კომპანია Eagle Hills-ი – მსოფლიო დონის დეველოპერი, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციაა. ეს არის საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ იზიდავს ჩვენი ხელისუფლების მიერ შექმნილი სტაბილური, პროგნოზირებადი და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო ბიზნესის საერთაშორისო ლიდერებს“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.



3

## კახა კალაძის ჰეთ-თრიქი...



5

## პეტრე ჩხეიძე – ათწლეულობით ნაწრთობი ნებისყოფა და პროფესიული გამოცდილება საქმის და სიკეთის სამსახურში

# სამშობლოს გაყიდვა უპატიებელი ცოდვაა,

## ანუ არ უნდა გავყიდოთ სინდისი და მასთან ერთად ქვეყანა!



იხ. 2 გვ.

### იდეის გამოძახილი




10

## კაცობრიობა ოლიმპიზმით ბრუნდება ფესვებთან

კავკასიური ოლიმპიური სამკუთხედი

### სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი



## ვითარცა მოწმენი და მისანდობნი იმერეთის 6 მეფეთა...

შეყლაშვილების საგვარეულო

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

# სამშობლოს გაყიდვა უპატიებელი ცოდვაა,



## ანუ არ უნდა გავყიდოთ სინდისი და მასთან ერთად ქვეყანა!

**დღევანდელი ხელისუფლება აშკარა გამონაკლისთა შორის არის ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, რომელიც საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ცდილობს მართოს ქვეყანა და არა ეგრეთწოდებული დონორი თუ დამპყრობელი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. სხვა სახელს ვერ დავარქმევთ მხარეს, რომელსაც უკრაინის ბედში უნდა ჩააგდოს ჩვენი ქვეყანა!**

**დღეს, ქვეყნის მოსახლეობის ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი აღიარებს, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ და უშიშროების სამსახურმა 4 ოქტომბერს (და არამხოლოდ 4 ოქტომბერს), დიდ საშიშროებას აგვარიდეს. მადლობა მათ ამისთვის...**

**4 ოქტომბრის მოვლენის შემდეგ ბუნებრივად დაგვრჩა კითხვები:**

**1. სანამ უნდა იდგეს მსგავსი საფრთხეების საშიშროება?**

**2. ვისი ხელით უნდოდა, გარე ძალებს, ამ საშიშროების შექმნა?**

**3.როგორ შეიძლება ან შეიძლება კი ამ პრობლემების მოგვარება?**

**კითხვები რთულია, სასიცოცხლო მნიშვნელობის და სრულყოფილ ანალიზს მოითხოვს.**

**ფინანსურად წახალისებული ახალგაზრდები (რომლებიც მშობლებს დაუკარგა დღევანდელმა დასავლეთის იდეოლოგიამ), 300 და მეტი დღის განმავლობაში რუსთაველის პროსპექტზე, ახმოვანებდნენ თავიანთი დამფინანსებლების მოწოდებებს! თუმცა, ახალგაზრდებს, რომლებსაც პასპორტში არც ეროვნება უწერიათ, არც სქესი და არც მამის სახელი, გვერს ვერაფერს მოვთხოვთ. ნათქვამია, რაც „დაწერილ არს, უნდა ასრულდესო“. ჰოდა, რომ სრულდება, ნუღარ გვიკვირს!**

მართალია, აღარც ჩვენ გვიწერია მამის სახელი, ეროვნება, სქესი, მაგრამ ჩვენ დიდხანს გვეწერა და შესაბამისი რწმენითაც ვიცხოვრეთ. იმ პერიოდმა კი, სამწუხაროდ, ყველაზე არა, მაგრამ საგულისხმო ნაწილზე მაინც, თავისი გააკეთა. ამიტომ გამოდის ოჯახის სიწმინდის დაცვის დღეს ასიათასობით ადამიანი და ამიტომ იმარჯვებს ქართული ოცნება არჩევნებში!

ცხადია, ფინანსური დაინტერესებაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო ამ პრობლემებში, ხოლო **იდეური ნაწილიც, თანამედროვე დასავლური იდეოლოგიით, მასთან არის მიბმული. დიახ, „დასავლეთში ჩვენზე უკეთ ცხოვრობენ!“**

**სწორედ ამიტომ, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, ჩვენი ეკონომიკური განვითარების საფუძველს საგაზრო ეკონომიკა წარმოადგენს, არ ხდება ზრუნვა მომხმარებლის ეკონომიკურ შესაძლებლობაზე, ანუ მათი მსყიდველუნარიანობის ზრდაზე, ხოლო, მოსახლეობის მხოლოდ 35-40%-ზე ორიენტირებული საგაზრო ეკონომიკით ქვეყანა ვერ განვითარდება. ეს განსაკუთრებით ყურადსაღებია ისეთი მცირერიცხოვანი ერისთვის, როგორიც საქართველოა!!**

თუმცა, ისიც სათქმელია, ახალგაზრდებო, თუ დასავლეთთან ინტეგრაცია მოგწონთ, ამ მიტინგებზე რა გინდათ? მათი ორგანიზატორები, ხომ მთელი ძალისხმევით ეწინააღმდეგებიან ქვეყნის ყოველ ნაბიჯს ამ თვალსაზრისით. გაიხსენეთ, კანდიდატად რომ გვღებულობდნენ, რა უტიფრად აცხადებდნენ, რომ თურმე ქვეყანა ღირსი არ იყო ევროკავშირში მიგვეღეთ. მეორე მხრივ, თავად ევროკავშირი, რატომ ებრძვის ჩვენ ხელისუფლებას? 90-იანი წლებიდან დაწყებული ქვეყნის ყველა ხელისუფლებამ ევროკავშირის ბევრი რეკომენდაცია გაითვალისწინა. ახლანდელმა ხელისუფლებამ კი ყველაზე მეტის გაკეთება მოახერხა.

მოგეხსენებათ, მხოლოდ რუსეთთან ომსა და უკრაინის ბედის გაზიარებზე (ანუ ქვეყნის დაქცევის პირობებზე) ითქვა უარი. აი, რა უნდა დღეს დასავლეთს ჩვენგან. ეს კარგად გაიაზრეთ. ისიც გაიხსენეთ, რომ ყველა მსოფლიო ომი ევროპიდან მოდის. ევროპის ისტორიას განეკუთვნება ჯვაროსნული ომები, ინკვიზიცია ანუ ადამიანების ცოცხლად დაწვა და უკვე მერამდენედ აღორძინებული ფაშიზმი, დღეს რომ ვითომ, ლიბერალური სახით უნდათ წარმოგვიდგინონ...

ხოლო, „გაკეთილშობილებული ევროპის“ ადამიანის უფლებების დამცველი კანონების უმრავლესობა, საბჭოთა კავშირისა და „გაწითლების“ შიშით არის დაწერილი და შექმნილი. საბჭოთა კავშირის შემდეგ კი უკვე ამ კანონებმა და უფლებებმა აშკარა მეტამორფოზა განიცადა და ლიბერალურ „მარაზმში“ გადაიზარდა, რომელიც ასე სასტიკად ებრძვის სახელმწიფო სუვერენიტეტს. გაიხსენეთ, რა ხდება თუნდაც საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში და ასე შემდეგ. დიდი ბრიტანეთი კი არც თუ დიდი ხნის წინ გამოვიდა ევროკავშირიდან, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირიდან გამოსვლა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

დიახ, ეს ქვეყნები, ამ ლიბერალური კანონების საშუალებით,რომლებიც ყოველგვარი კანონზომიერი გათვლების გარეშე არის მიღებული, ემიგრანტებითა და ეგრეთწოდებული „ემიგრანტებით“ არის სავსე. ხოლო მათი და განსაკუთრებით, ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული მოსახლეობა, დიდი ალბათობით, ეროვნულ უმცირესობაში მოხვედრის საშიშროების ქვეშ დგას.

არადა, თავად მეცნიერები ამტკიცებენ, რომ თითოეულ ქვეყანას თავისი ინდივიდუალური როლი და „მისიები“ აკისრია ამ სამყაროში. ზოგი ამ დედამიწის „გულია“, ზოგიც „თავი“ და ზოგიც „ჭიპი“... ამ უნარებს კი მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა ავლენს საკუთარ გეოპოლიტიკურ მოცემულობასა და საზღვრებში...

იხ. 4 გვ.



## საქართველოს ხელისუფლება აბსოლუტურად ღია იქნება ახალ ელჩთან თანამშრომლობისთვის!!!

**კობახიძის თქმით,** როდესაც ჩამოვა ახალი ელჩი, საქართველოს ხელისუფლება აბსოლუტურად ღია იქნება მასთან თანამშრომლობისთვის.

**„რაც შეეხება გერმანიის ელჩის გაწვევას, ვფიქრობ, სწორი და პრაგმატული გადაწყვეტილება მიიღო გერმანიის ხელისუფლებამ. აბსოლუტურად კონტრპროდუქტიული იყო გერმანიისთვის ამ ადამიანის ყოფნა ჩვენს ქვეყანაში. არცერთ ელჩს არ დაუზიანებია ქართულ-გერმანული ურთიერთობები, პირიქით, თუ გავიხსენებთ გერმანიის ელჩებს, ყველას შეჰქონდა თავისი დადებითი წვლილი ქართულ-გერმანული ურთიერთობების განვითარებაში.**

**რასაც 30 წლის განმავლობაში აშენებდნენ მისი წინამორბედები, ეს ყველაფერი, პრაქტიკულად, მოშალა ბატონმა ფიშერმა. თუმცა ძალიან მალე ყველაფერი აღდგება იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს თანამშრომლობას, პარტნიორობას, მეგობრობას აქვს ძალიან დიდი ტრადიციები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რისი მოშლაც სურდა ბატონ ფიშერს, ყველაფერი ძალიან მალე აღდგება. არ ვიცი, როდის მიიღება ეს გადაწყვეტილება გერმანიის ხელისუფლების მხრიდან, თუმცა როდესაც ჩამოვა ახალი ელჩი, ჩვენ აბსოლუტურად ღია ვიქნებით მასთან თანამშრომლობისთვის“,** – განაცხადა პრემიერმა.

## „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო სარჩელში, სავარაუდოდ, ათამდე პარტია მოხვდება

**„არ გავუსწრებ მოვლენებს, ვიდრე არ გამოქვეყნდება სარჩელი. გამოქვეყნდება სარჩელი და იქ გაიგებთ დაზუსტებით, რომელი პარტია შევა ამ სარჩელში. პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კვირის ბოლომდე შევა სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში. ტექნიკური სამუშაოა. იმდენი აქვთ დარღვეული, შესაბამისად, საწერიც არის ბევრი. ამიტომ რამდენიმე დღე ავიღეთ, რათა ბოლომდე მივიყვანოთ სარჩელის წერის პროცესი.**

**ისე, შეიძლება, 20-საც გადასცდე, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ ათამდე პარტიაზე. კვირის ბოლომდე გამოქვეყნდება სარჩელი, შესაბამისად, გამოქვეყნდება სია და იქ გაიგებთ ყველაფერს. კიდევ ერთხელ შემიძლია, მოვიყვანო ბაჩო ახალაიას მაგალითი, რომელიც შეიძლება, არ იყო პარტიის წევრი, განეკუთვნებოდა ძალოვან სტრუქტურებს, მაგრამ ყველამ იცის, რომ ის არის „ნაცმოძრაობის“ განუყოფელი ნაწილი. დანარჩენი დაკონკრეტდება სარჩელში. გადაწყვეტილებას იღებს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც კომპლექსურად მსჯელობს ყველა თემასთან დაკავშირებით“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## იმედი გვაქვს, ევროკავშირი გადახედავს საკუთარ დამოკიდებულებას ქართველი ხალხის და, შესაბამისად, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების მიმართ

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ლუქსემბურგში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე იყო მცდელობები სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით, თუმცა ეს გადაწყვეტილებები ვერ იქნა მიღებული.

**„იმედი გვაქვს, სამომავლოდ ევროკავშირი გადახედავს საკუთარ დამოკიდებულებას ქართველი ხალხის მიმართ და, შესაბამისად, ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების მიმართ. ეს არის, ვფიქრობ, ორმხრივად მნიშვნელოვანი როგორც საქართველოსთვის, ისე ევროკავშირისთვის. ევროკავშირის პრაგმატული გადაწყვეტილების შეჯერება თუ მოხერხდება, ეს იქნება ორმხრივად საინტერესო როგორც საქართველოსთვის, ასევე ევროკავშირისთვის“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

საქართველოს რესპუბლიკა

**ძვირფასო თბილისელებო! თავს უფლებას ვაძლევ და გკითხებით: ნუთუ დედაქალაქის 3-გზის პირველი და, უდიდესი ალბათობით, კარგა ხნის განმავლობაში ერთადერთი მერი, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი კახა კალაძე, რომელმაც თბილისქალაქობის ამასწინანდელ დღესასწაულზე მორიგ 30 რჩეულს მიულოცა თბილისის საპატიო მოქალაქედ არჩევა, თავად არ იმსახურებს მსგავს პატივს? ბოლოსდაბოლოს, თავისი ღირსეული წინამორბედის, სხვა ადამიანის პიროვნული თვისებების შეფასებაში ყოველთვის ზომიერი ნიკო ლეკიშვილის სიტყვები გავიხსენოთ, ახალგაზრდა ძვირფასი კოლეგის ღვაწლის აღსანიშნავად რომ ბრძანა: კახა კალაძისნაირი მერი თბილისს აქამდე არ ჰყოლიაო!**



# კახა კალაძის ჰეთ-თრიქი...

**ვიდრე ჩვენი პაშპაშა თანამედროვის პორტრეტის შესახებ განვაგრძობდე მკითხველთან მონოლოგს, ერთ ფაქტზეც შევჩერდები: საყოველთაოდაა ცნობილი, რომ დამოუკიდებლობის პერიოდში ყველაზე ტიტულოვანი ქართველის საფეხბურთო აკვანი სწორედ თბილისის „დინამოში" დაირწა 17 წლის ასაკში, საიდანაც ჯერ კიეველ თანაკლუბელებთან ერთად გამოიწრთო ლეგენდარული ვალერი ლობანოვსკის ვარსკვლავურ ქურაში, ხოლო იქიდან უკვე გრანდთა გრანდ „მილანში" შექმნა მთელი ეპოქა.**

სხვათა შორის, არ შევცდები თუ მოგახსენებთ, რომ მის გაკვალულ ბილიკს შეუყვა იტალიურ ფეხბურთში **ხვიჩა კვარაცხელია,** რომელმაც ნაპოლიში სწორუპოვარი დიეგო მარადონას ჩაყრილი ნერგი 30-წლიანი მოლოდინის შემდეგ გაახარა და ნანატრი სკუდეტოს მოხვეჭის პარალელურად, თავი მთელ ქალაქს შეაყვარა. ეს ისე, ლირიკული გადახვევის სახით, ახლა კი ძირითად სათქმელს დავუბრუნდეთ.

ჩემთვის საამაყო სამტრედიელი კახა კალაძე უპირველესად ის ღია, სუფთა და შეულახავი რეპუტაციით მადლმოსილი სამშობლოს დესპანია უცხოეთში, ვინც წარმატებული სპორტული კარიერიდან ესტაფეტა ასევე შეუბღალავი ბიზნესის აწყობას გადასცა. თითქოს, მიღწეულით ტკბობისა და, ზოგ-ზოგიერთთა მსგავსად, მხართეძოზე ნებივრობის დროც დაუდგა მრავალშვილიანი ოჯახის თავკაც ახალგაზრდას, მაგრამ როცა საფიცარი მამული ტოტალიტარიზმის, კორუფციისა და დიქტატურის ნაცურ მარწუხებში მოექცა, უყოყმანოდ დაიკავა ადგილი იმ მრავალ პატრიოტს შორის, ძველ რეჟიმს რომ ებრძოდნენ.

**და მაინც, ვინ არის კახა კალაძე, ჰეთ-თრიქი რომ შეასრულა 4 ოქტომბრის წყალგამყოფ თვითმმართველობის არჩევნებზე და უთანასწორო ბრძოლაში კვლავაც ბეჯებზე დაანარცხა ფიასკოსთვის განწირული თითქმის ურეიტინგო ფსევდოკონკურენტები?**

უკეთილშობილესი კაიყმა, თავდადებული, ეროვნული ტრადიციებისა და ოჯახის სიწმინდის დამცველი, ფესვმაგარი ქველმოქმედი, რომელიც ფუტკარივით აკეთებს თავის საქმეს; ერთგულების განსახიერება, რომელმაც ყოფნა-არყოფნის ჟამს არჩეულ გზას, გვერდით დასდგომოდა ბატონ **ბიძინა ივანიშვილსა** და „ქართულ ოცნებას" დასახული საშვილიშვილო მიზნებისა და დაპირებების შესრულებაში, ერთხელაც არ უღალატა და, დღემდე მოჰყვება, უამრავი შინაური თუ გარეშე მტრის ზემოქმედების მიუხედავად.

გამეორება ცოდნის დედააო, გვასწავლის წინაპართა სიბრძნე და მოდით, ვიდრე ძლევამოსილი, ბოლომდე გაფარჩაკებულ რადიკალურ აგენტურასთან 10-გზის(!) ტრიუმფით გამარჯვებული მმართველი პარტიის უკვე თმაშევერცხლილი გენერალური მდივნის ბოლოდროინდელ ნაკაიკაცარზე გადავალთ, ენერგეტიკის რეფორმატორი მინისტრის უახლოესი წარსულიც გავაცოცხლოთ, სახალხო მეურნეობის პრიორიტეტული დარგის რევოლუციად რომ შემორჩება მომავალს.

ვფიქრობ, ერსა და ბერს ემახსოვრება მოყვასის გადასარჩენად შემართული მთავრობის წევრი თბილისის ტრაგედიის დროს, როცა მეწყერმა და აბობოქრებულმა მდინარე ვერემ წალეკა დედაქალაქი, დაანგრია სახლები და შეიწირა ათობით უდანაშაულო სიცოცხლე, როგორ ებრძოდა იგი სტიქიას მაშველებთან და მოხალისეებთან ერთად, როგორ იხსნა ბუნებისგან გამეტებული რამდენიმე თანამემამულე.

ის კადრებიც დაუვიწყარია, დიდთოვლობისას აჭარის მაღალმთიანეთის მიუვალ ადგილებში თანამშრომლებთან ერთად დაზიანებული ელექტროხაზების შესაკეთებლად ღამეებს რომ ათენებდა, მაგრამ დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს,

**„ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს: მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები".**

ასე ხდებოდა მაშინაც და ასე ხდება ამჯერადაც. ბევრმა შურით, ბევრმა ოპონენტის მანტიას ამოფარებულმა, ბევრმა პოლიტიკოსის ნიღაბმორგებულმა, ბევრმაც გესლის ნთხევითა თუ დაუსაბუთებელი ბრალდებებით აკრიტიკა და დღესაც აკრიტიკებს მეტოქეებს.

არც ნაადრევად გაპროფესიონალებულ მაღალჩინოსანს დაჰკლებია და დღესაც არ აკლია შემოტევები და ცილისწამებების ნიაღვარი, მაგრამ მის მიერ დათესილი სიკეთეც აშკარა იყო და არის, მის თავდადებასაც შედეგი მოჰქონდა და მოაქვს და ხალხიც ყველაფერს კარგად ხედავდა და ხედავს.

ასეა თუ ისე, ფაქტია: პატარა გულნამცეცა კაცუნათა ნასროლი ტალახი თაობათა კერპს ვერც ვერაფერს ვნებდა და ვერ ვნებს დღესაც – იგი ჩვეული ენერგიით ეჭიდებოდა და დღესაც ეჭიდება საქვეყნო, ეროვნულ საქმეს!

დაგვეთანხმებით, მრავლისმეტყველია შესაშური ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული სამაგალითო ხელმძღვანელისდროინდელი მონაგარი: მაშინ, როცა ბევრს იგი დილეტანტად მიაჩნდა, ექსპლოატაციაში შევიდა გენერაციის 21 წყარო, მათ შორის 18 ჰიდროელექტროსადგური, 2 თბოელექტროსადგური და ერთიც ქარის ელექტროსადგური „ქართლი", რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ენერგეტიკაში ასეთი მასშტაბური, 1 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების ინვესტიცია არ განხორციელებულა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი მიღწევაა საქართველოს სრულუფლებიან წევრად მიღება ევროპის ენერგეტიკულ ოჯახში 2016 წელს და ენგურჰესის უნიკალური კაშხლის შეყვანა ევროპული კულტურის ინდუსტრიული მემკვიდრეობის ნუსხაში. აღარაფერს ვამბობ 30 განათებულ სოფელზე, მათ შორის მუცოზე, სადაც აშენებული ჰიდროელექტროსადგურიც არა მარტო მოსახლეობას, არამედ ისტორიული ძეგლების განათებასაც ემსახურება, აგრეთვე იმავე პერიოდში განხორციელებულ „შუახევიჰესის" უმსხვილეს საინვესტიციო – ინფრასტრუქტურულ პროექტზე, ან თუნდაც ათასამდე თვისტომის დასაქმებაზე.

**დიახ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ პოპულარული გამოთქმა – საქმემან შენმან წარმოგაჩინოსო, – ზედგამოჭრილია კახა კალაძეზე!..**

## დაღვინებული მაჭარი

**ცოტა ვინმე თუ აქცევს ყურადღებას იმ ფაქტს, რომ კახა კალაძემ წარჩინებით დაამთავრა მაშინდელი საშუალო სკოლა და ფრიადზე აითვისა ისეთი ურთულესი კლასგარეშე საგანი, როგორიცაა თანაქალაქელებთან, გამორჩეულად – ასაკით მასზე უფროსებთან ურთიერთობის მოფრთხილება. პოლიტიკურ სარბიელზე გამობრძმედილი ლიდერის ეს სანიმუშო უნარი თვალნათელი გახდა კოვიდპანდემიის ულმობელ წლებში, როცა მედიკამენტოზურ მკურნალობაზე უფრო ძვირად მალამოს სადარი პიროვნული სითბო და ქალაქის თავის სიტყვა ფასობდა.**

ვთვლი, რომ ნიშანდობლივია სწორედ იმ უმძიმეს პერიოდში განხორციელებული ჭავჭავაძის, გამსახურდიას, ქეთევან წამებულისა და წერეთლის გამზირების საეტაპო მნიშვნელობის ფუნდამენტური სარეაბილიტაციო სამუშაოები. რასაკვირველია, კარგად ვაცნობიერებ სხვაობას მასშტაბებში, მაგრამ, ვფიქრობ, სადღაც შეიძლება პარალელის გავლება უკვდავი „დიდოსტატის მარჯვენის" იმ ეპიზოდთან, როცა მშენებარე სვეტიცხოველი მიწისძვრის დამანგრეველ ბიძგებს გაუძლებს.

**რაც შეეხება იმავე დღეებში ახალი მულტიფუნქციური ოლიმპიური სასახლის აგებასა და იქ ევროგასკეტის უმაღლეს დონეზე მასპინძლობას, მიმაჩნია, რომ ამით დედაქალაქის მერმა დიდების შარავანდედი დაიდგა. გეთანხმებით, ბევრს ასეთი შეფასება გადაჭარბებულად მოეჩვენება, მაგრამ ჩემს პირად მოსაზრებას ზურგს ფიბას მესვეურთა პატაკები უმაგრებს, ისინი კი, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ქების სიგელებს მხოლოდ ქართული სუფრის ხათრით არასოდეს არიგებენ.**

ერთი შეხედვით, თითქოს, სიტყვა გამიგრძელდა და დროა წერტილი დავსვა, მაგრამ როგორ დავტოვო თამაშგარე მდგომარეობაში საანგარიშო პერიოდში თბილისქალაქისათვის შემატებული უამრავი ხიდი, შადრევანი, ბაღი, სკოლა, სკვერი, რეკრეაციული სივრცე, მიწისქვეშა კომუნიკაცია, სასტუმრო, საბაგირო, ველობილიკი, ტურისტული და კვების ობიექტი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განკუთვნილი ტერიტორია და მრავალი სხვა. დაუმატეთ ყოველივეს ისეთი გრანდიოზული ჩანაფიქრები, რომლებიც პრემიერ-მინისტრ **ირაკლი კობახიძის** ინიციატივით შეისხამს ხორცს – ახალი საერთაშორისო აეროპორტი და ფიფა-უეფას სტანდარტების შესაბამისი ასევე ახალი 70-ათასიანი სტადიონი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ფინალს უნდა უმასპინძლოს და თქვენ იწამებთ – გასაკეთებელი კიდევ ბევრია, კახა კალაძე კი მორიგი 4-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ კვლავაც პირნათელი წარდგება მადლიერ ამომრჩეველთა წინაშე...

**ძვირფასო მკითხველო! – თუ წერილის ბოლოს მშრალი ციფრები აღარ მოვიშველიე ჩვენი წერილის გმირის ნაღვაწის ნივთმტკიცებად, ამით მხოლოდ ძვირფასი საგაზეთო ფართობი დავზოგე, მაგრამ თუ მაინცდამაინც მოიწადინებთ „სათანადო დოკუმენტს", არც ესაა პრობლემა – მოიძიეთ 4 ოქტომბრის არჩევნების წინ დაბეჭდილი „ქართული ოცნების" საინფორმაციო ბუკლეტი ან დაეკითხეთ ქუჩაში მოსახლეობას, მათ აბსოლუტურ უმრავლესობას კახა კალაძე მართლაც თბილისის საუკეთესო მერად მიაჩნიათ!**

**დიმიტრი კოტეტიშვილი,**

დამსახურებული პენსიონერი, ღირსების ორდენოსანი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი, ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

# სამშობლოს გაყიდვა უპატიებელი ცოდვაა,

**იმიტომ არ უნდა ვებრძოლოთ ხელისუფლებას, „ქართული ოცნების“ თავკაცებს, რადგან ისინი ერთ-ერთი იმათთაგანნი არიან მსოფლიოში, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს დედამიწაზე არსებულ აშკარად ლიბერალურ ფაშიზმს! დიახ, სწორედ იმ ძალებს, რომელთა მიზანია დედამიწის 8-მილიარდიანი მოსახლეობა ერთ მილიარდამდე შეამცირონ!**

**ნუ გამოაყენებინებთ თავს ამგვარ ძალებს, ქვეყნის წინააღმდეგ.**




(მეორე გვერდიდან)

თუ დაინტერესდებით და მოიძიებთ, ნახავთ, რომ თავად ევროპის წამყვან სახელმწიფოებშიც კი სახელისუფლო მაღალ თანამდებობაზეც ძალიან ხშირად სხვა ეროვნების ადამიანები არიან წარმოდგენილნი. ესეც ლიბერალური ფაშიზმისა თუ დასავლეთის საგულისხმო ნაწილის დიფ სთეითის ჩანაფიქრის შედეგია რათა როგორმე საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების გულწრფელი დამცველები თავიდან მოიშორონ და თავიანთ ნებაზე მართონ მოტყუებული ქვეყნები. **ტყუილად კი არ უქმნიან ემიგრანტებს სასათბურე პირობებს, დონორი ქვეყნების შესუსტება უნდათ! ამაზე, რამდენი ხანია ლაპარაკობს, თავად დონალდ ტრამპი.**

ჩვენ კი, 34 წელი, დასავლეთის გავლენის ქვეშ რომ ვართ, უკეთესად არის სახელმწიფო? თუ გავიხსენებთ,ადრე, საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს, ჩვენ, რუსეთზე უკეთ თუ არა, მასზე ნაკლებად ნამდვილად არ ვცხოვრობდით... ხოლო ახლა, როცა დასავლეთის გავლენის ქვეშ ვართ, რუსეთსაც საგრძნობლად ჩამოვრჩებით ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობით და ცხადია, დასავლეთსაც.

**ხოლო ქვეყნის პოლიტიკური ფორმაციის პროგრესული განვითარების ხასიათი იმით განისაზღვრება, რამდენად მეტი სოციალური ფენის რეალიზებისა და არსებობისათვის საჭირო პირობების შექმნის შესაძლებლობას იძლევა იგი წინა პოლიტიკურ ფორმაციასთან შედარებით.**

ჩვენ, დღევანდელი დასავლური კანონმდებლობით, 34 წელი ვერ დავეწიეთ და ისევ ჩამოვრჩებით მაშინდელ საბჭოთა კავშირს ამ თვალსაზრისით...

* * *

**ესე იგი, უნდა მივხვდეთ, რომ მხოლოდ ხელისუფლების ბრალი არ არის ქვეყნად არსებული პრობლემები. თუმცა, აქვე, ერთი რამ არის კიდევ სათქმელი: ჩვენ უკვე მრავალი ათეული წელი, ისევ დასავლური იდეოლოგიის გავლენით, მიჩვეულები ვართ იმ აზრს, რომ ხელისუფლება ყოველთვის დამნაშავეა, ხოლო ოპოზიცია ყოველთვის მართალი.**

დიახ, ხელისუფლებასთან ჯანყი, გარე ძალების, ძირითადი და მთავარი საშუალებაა, თავად მართონ მოტყუებული ქვეყნები!

**ბევრ ადამიანს ეს სჯერა და, სწორედ ამ გავლენის გამო დგას ხელისუფლების წინააღმდეგ. ამას ზემოთ ნახსენები ეკონომიკური მდგომარეობაც ემატება, რომელსაც გარკვეულწილად უკმაყოფილებენ და ისე ღალატობენ ადამიანები საკუთარ ქვეყანას, ზოგჯერ ვერც ხვდებიან, უფრო მეტიც,თავი მართალი ჰგონიათ...**

არადა, დღევანდელი ხელისუფლება, აშკარა გამონაკლისთა შორის არის, ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, რომელიც საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ცდილობს მართოს ქვეყანა და არა ეგრეთწოდებული დონორი თუ დამპყრობელი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. სხვა სახელს ვერ დავარქმევთ მხარეს, რომელსაც უკრაინის ბედში უნდა ჩააგდოს ჩვენი ქვეყანა!

თუმცა, ამით იმის თქმა არ მინდა, ზურგი შევაქციოთ დასავლეთს! დასავლეთიც და რუსეთიც ჩვენი მოცემულობაა. ამიტომ შესაბამისად უნდა იმართებოდეს ქვეყანა!

**და კიდევ, იმიტომ არ უნდა ვებრძოლოთ ხელისუფლებას, „ქართული ოცნების“ თავკაცებს, რადგან ისინი ერთ-ერთი იმათთაგანნი არიან მსოფლიოში, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს დედამიწაზე არსებულ აშკარად ლიბერალურ ფაშიზმს ! დიახ, სწორედ იმ ძალებს, რომელთა მიზანია დედამიწის 8-მილიარდიანი მოსახლეობა ერთ მილიარდამდე შეამცირონ!**

**ნუ გამოაყენებინებთ თავს ამგვარ ძალებს ქვეყნის წინააღმდეგ.**

* * *

**ასე და ამგვარად, ამ ლიბერალებმა მთელი დედამიწა დაამსგავსეს ბაბილონის გოდოლს. დიახ, ეს ცნობილი მითი ჯერ კიდევ როდის აღწერდა, თითქოს დღევანდელ რეალობას: ერთ დღესაც ადამიანებმა განიზრახეს ისეთი კოშკის აშენება, რომელიც ცას მისწვდებოდა და ღმერთს გაუტოლდებოდნენ. ადამიანის თავხედობით განრისხებულმა ღმერთმა აურია მათ აზროვნება, ენა და მეტყველება...**

ამის შემდეგ მშენებლობა შეწყდა, რადგან ადამიანები ერთმანეთს ვეღარ უგებდნენ და ბოლოს, ბაბილონის გოდოლი დაინგრა. დაუმთავრებელ ქალაქს ეწოდა ბაბილონი (სახელწოდებას ლეგენდა უკავშირებს ძველ ებრაულ სიტყვას „ბალალ“, რომელიც არევას, აღრევას ნიშნავს).

* * *

**ერთხელ კიდევ გავიმეორებ ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს, რადგან იქ ნათქვამი წაეხმარება მკითხველს დღევანდელი რეალობის სრული სურათის წარმოდგენაში. განსაკუთრებით იმათ, ვისაც ჩემი წინა პუბლიკაცია არ წაუკითხავთ.**

დაუკვირდით, სიცოცხლის მარადიულ ჯაჭვს ოთხი ფაქტორი ქმნის: **პირველი** – ქალისა და კაცის სიყვარული; **მეორე** – ღვთისადმი რწმენა, რადგან რწმენის გარეშე ადამიანი უბედური და საშიშია; **მესამე** – ოჯახი, როგორც სიცოცხლის, საკუთარი გენის, სისხლის გაგრძელების საშუალება; **მეოთხე** – სახელმწიფო.

ამ ყველაფრის შენარჩუნების მთავარი პირობა. იმიტომ არის ლიბერალური შეხედულებები საშიში, რადგან ებრძვის და ეწინააღმდეგება ოთხივე ფაქტორს! დიახ, ოთხივეს, მაგალითად, სიყვარული ფსიქიკურ დაავადებათა ნუსხაში ჰყავთ შეყვანილი; აშკარად და სასტიკად ებრძვიან სახელმწიფო სუვერენიტეტს; ებრძვიან სარწმუნოებას, ღმერთს, ხოლო ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდით და ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებით ებრძვიან ჭეშმარიტი ოჯახის სიწმინდეს. უფრო მეტიც, გენური ინჟინერიით საშიშროებას უქმნიან ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანის სახეობას. მაშასადამე, ებრძვიან სიცოცხლის მარადიულობას!

* * *

**და კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, იმიტომ არის ევროპა მდიდარი, რომ ევროპის ქვეყნების მიერ გლობალურ მასშტაბში, სხვადასხვა პერიოდში ხორციელდებოდა მათზე სუსტი სახელმწიფოების კოლონიზაცია, ძარცვა და დაპყრობა.**

მაგალითად: მათ დაიპყრეს ამერიკის კონტინენტი, აფრიკა, იერუსალიმი, ესპანეთი, კონგო, ინდოეთი, ჩინეთი, ვიეტნამი, ერაყი, სირია და ასე შემდეგ. აი, მოკლე სია იმ ქვეყნების, რომლებიც სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში ევროპულმა სახელმწიფოებმა დაიპყრეს, გაძარცვეს, დაუხოცეს მოსახლეობა ან დაიმორჩილეს. მაგალითად, ბელგიის მეფემ ლეოპოლდ II-მ (1835-1909 წლები) ჰიტლერზე მეტი ადამიანი დახოცა თუმცა მისი ძეგლი დღესაც დგას ბელგიაში.

დიახ, ასე იყო! აბა, საბჭოთა კავშირის დროინდელი რუსეთივით დოტაციაზე კი არ ჰყავდა იმდენი გაჭირვებული რესპუბლიკა.

კარგად დაფიქრდით, შვილებო, დღეს დასავლეთი ავად არის (სამწუხაროდ, როგორც აღვნიშნე, არც გენეტიკა აქვს დამაკმაყოფილებელი) და თვითგამორკვევის პროცესშია. იმედია, გამოჯანსაღდება და მართლა იმ ევროპას მივიღებთ, რომელზეც პრეტენზია აქვთ. ადრე უნგრეთისა და ახლა, ჩეხეთის მაგალითი უკვე ამის იმედს იძლევა.

**სურვილის შემთხვევაში, ადვილი დასანახია, რომ ჩვენი ხელისუფლება არ აპირებს, საქართველო რომელიმე სახელმწიფოს არაკანონზომიერი გავლენის ქვეშ დატოვოს. დღეს, ყველაზე დიდი შესაძლებლობა არსებობს, საქართველო გეოპოლიტიკურად განვითარდეს, დიდი მნიშვნელობა შეიძინოს მსოფლიოში. ამით კი მშვიდობასაც შევინარჩუნებთ და ქვეყნის ჭეშმარიტად პროგრესულ განვითარებასაც შევძლებთ. ცხადია, თუ არაკეთილმოსურნე ძალები ისევ გზას არ გახსნიან ქვეყნის წინააღმდეგ და მათ წისქვილზე ისევ წყალს არ მიუშვებენ!**

ამიტომ საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან უნდა გამოვიდეთ! გვახსოვდეს, სამშობლოს გაყიდვა უპატიებელი ცოდვაა!

* * *

**ასე რომ, გაითვალისწინოს, ყველა ოპოზიციურმა ძალამ და იმათმა მხარდამჭერმა მომიტინგეებმა, მოსყიდულებმა თუ გაბრიყვებულებმა:**

თქვენ, ყველანი, საკუთარი ქმედებებით, უზრუნველყოფთ, დასავლეთთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა მთლიანად ჩიხში შეიყვანოთ. ამას მოსახლეობის დანარჩენი, დიდი უმრავლესობა ხედავს და საერთოდ გამორიცხავს, ამ პროცესებში მონაწილე ძალებმა, შემდგომ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისას, რამე წარმატებას მიაღწიოს.

ასე, რომ თუ დავფიქრდებით, წერილის თავში დასმული სამივე კითხვის პასუხი თქვენზეა

**(1. სანამ უნდა იდგეს მსგავსი საფრთხეების საშიშროება?**

**2. ვისი ხელით უნდოდა გარე ძალებს ამ საშიშროების შექმნა?**

**3. როგორ შეიძლება ამ პრობლემების მოგვარება?)**

– არ უნდა უღალატოთ სამშობლოს, რადგან სამშობლოს გაყიდვა უპატიებელი ცოდვაა! დიახ, გამოსავალი ასეთი გვაქვს: არ უნდა გავყიდოთ სინდისი და მასთან ერთად ქვეყანა!



ია საკანდელიძე

# ათწლეულობით ნაწრთობი ნებისყოფა და პროფესიული გამოცდილება საქმის და სიკეთის სამსახურში



## პეტრე ჩხეიძე — 84

**ვის არ სმენია, რა მძიმე ტვირთია მეწინავეობა. მაგრამ ცოტას თუ გამოუცდია იგი. ამიტომ, თუ ღმერთმა, ბუნებამ და ზოგჯერ იღბალმაც ინება, დიდ გამძლეობას მოითხოვს. მართლაც უმნიშვნელოვანესი ხვედრია, უდრტვინველად ატარო ერთდროულად როგორც საკუთარი, ისე სხვისი „ჯვარი“: დიდია პასუხისმგებლობა.**

**პეტრე (ზურაბ) ჩხეიძეს** ვიცნობთ და ვმეგობრობთ სიყრმის ასაკიდან დღემდე. სულ გამორჩეული იყო. თან, რაც უფრო აცნობიერებდა მეწინავის როლს, მით უფრო მდაბლად ეჭირა თავი. ეს ისეთი თვისებაა და ღვთიური ნიჭი, რომ ვერც დამალავ და ვერც დაემალები. ჩვენც ამიტომ განვიზრახეთ გამოგვეტანა სამზეოზე.

უფროსი პეტრე (პეტია) ჩხეიძისა და მისი უსათნოესი მეუღლის იულია ნიკოლეიშვილის ოჯახს კარგად იცნობდნენ საქართველოში. მათი მზრუნველობის ქვეშ ბავშვობა ზურაბმა თბილისში, ვაკეში გაატარა. ასევე არაჩვეულებრივი იყო მისი სკოლის ამხანაგების, მეგობრების, მეზობლებისა და მოკეთეების წრე. ასაკით მასზე უფროსი ძმა ალექსანდრე (ალეკო) ზურაბისთვის და მისი მეგობრებისათვის ყოველმხრივ მისაბაძი მაგალითი იყო. ზნეკეთილობითა და წარმატებული პროფესიონალიზმით გახლდათ სახელგანთქმული. ამ გარემოებამ როდი დაჩრდილა ზურაბი. პირიქით, სასიკეთოდ წაადგა.

ზურაბმა წარმატებით განვლო გამოცდები და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც შეუერთდა მომავალი კოლეგების გამორჩეულ გუნდს. და მაინც, მისი ყველაზე მეტი შემდგომი ადამიანური წარმატებები იყო: პირველი, საოცარი, მყუდრო და მოსიყვარულე ოჯახის შექმნა; მეორე, შეძენა ახალი მეგობრებისა, რომელთა წრე თანდათან ფართოვდებოდა, ზუსტდებოდა და იხვეწებოდა...

სტუდენტობის შემდეგაც პეტრეს მუდამ თან ახლდა წარმატება ყველა სარბიელზე. ჯერ ადმინისტრაციულ-საგამოძიებო სისტემაში და პარტიულ ასპარეზზე, მერე საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ, სამეცნიერო და დიპლომატიურ სფეროებში.

უაღრესად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყოველივე რასაც ის ქმნიდა, უძღვებოდა ხმაურიანი თვითრეკლამის გარეშე. როდესაც საქმიანობის სტილისტიკაზე ჩამოვარდებოდა საუბარი, მოგვიგონებია ერთმანეთისთვის დიდი შალვა ნუცუბიძის სხარტი სამსიტყვიანი ფრაზა, რომელიც მან წარმოთქვა სამშობლოში დაბრუნებისთანავე რკინიგზის სადგურში: **გაუმარჯოს საქმიან საქართველოს!** ამ გამოთქმაში ქართველი მოაზროვნე მოღვაწეობის სტილსაც, მოკრძალებულ მანერასაც გულისხმობდა.

მოგეხსენებათ, პეტრე ჩხეიძე დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გახლდათ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისევე როგორც პირველი მუდმივი წარმომადგენილი გაეროში.

მას შემდეგ, რაც მისი საქმიანობა ქვეყნის გეოგრაფიულ საზღვრებს გასცდა და დიპლომატიურ ასპარეზზე გადაინაცვლა, მისი სახელი ერთგვარი იდუმალების ბინდით შეიმოსა. არადა, შინ თუ გარეთ, მათ შორის გაეროს საერთაშორისო სისტემაში, კარგად იყო ცნობილი და დაფასებული მისი გულმართალი, სამშვიდობო და კეთილისმყოფელი ბუნება. მისი პიროვნებისადმი გულწრფელმა ნდობამ და ავტორიტეტმა არაერთხელ განსაზღვრა კიდევაც ჩვენი ქვეყნისათვის უდანაკარგო შედეგები. აქ და ამჟამად ვერ მოხერხდება, თუმცა სამომავლოდ უთუოდ საგანგებოდ არის შესაჯამებელი, გასაანალიზებელი და შესაფასებელი მისი საგულისხმო მოღვაწეობა. ამ მხრივ მის წინაშე ჯერ კიდევ დიდ ვალშია როგორც უნივერსალური, ისე დარგობრივი საცნობარო გამოცემები. გვინდა ვირწმუნოთ, რომ ეს პუბლიკაციაც ერთ-ერთ მოკრძალებულ, ფრთხილ შეხსენებად გამოდგება უახლესი ქართული ისტორიის მესვეურთათვის მნიშვნელოვანი ნიშის შესავსებად.

ამის შეხსენება, მადლობა ღმერთს, არ ესაჭიროებათ იუბილარის ნიჭიერ, წარმატებულ შვილებსა და შვილიშვილებს, რომლებიც იცავენ და მომავალშიც უთუოდ გააგრძელებენ სახელოვანი მამისა და მისი ოჯახის ტრადიციებს.

**მადლობა პეტრე ჩხეიძესა და მის ოჯახს! ულევი წარმატება მის შთამომავლობას! გულითად სიყვარულსა და პატივს მივაგებთ მისი დაბადების 84 წლის იუბილეს!**

**მინდია უგრეხელიძე,**
**ჯიმი ყიფიანი,**
**თამაზ ტუღუში.**

# ენგურჰესი გამართულად და საიმედოდ მუშაობს!

**ცალკეულმა მედიასაშუალებებმა და ინტერნეტგვერდებმა გაავრცელეს დეზინფორმაცია, თითქოს ღვარცოფმა ენგურჰესი დააზიანა. აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება,** – აღნიშნულია შპს „ენგურჰესის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



**„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, განვმარტავთ, რომ 22 სექტემბერს, სამეგრელოსა და აფხაზეთში მოსულმა უხვმა ნალექმა და ღვარცოფმა გარკვეულწილად დააზიანა ენგურჰესის მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურა. საუბარია ინფრასტრუქტურაზე, რომელიც არანაირ გავლენას არ ახდენს ელექტროენერგიის გამომუშავებაზე, საწარმოს ფუნქციონირებასა და მის საიმედოობაზე. შესაბამისად, ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ ენგურჰესი გამართულად და საიმედოდ მუშაობს, საწარმო ერთიან ქსელში ჩართულია და ელექტროენერგიის გამომუშავება შეუფერხებლად მიმდინარეობს.**

**მოვუწოდებთ მედიასაშუალებებს, თავი შეიკავონ მცდარი და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისგან და არ შეიყვანონ საზოგადოება შეცდომაში“,** – აღნიშულია გავრცელებულ განცხადებაში.

# საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის

# განცხადება

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2025 წლის 17 ოქტომბრის საერთო კრებაზე აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად არჩეულ იქნენ:**

| | |
|---|---|
| აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილებაში | სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი - გიზო გოგიჩაიშვილი |
| მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილებაში | ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი დავით გოდერძიშვილი |
| აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილებაში | ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი - ომარ თედორაძე |
| სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში | ტექნიკის დოქტორი - მალხაზ დოლიძე |
| გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილებაში | სატყეო საქმის დოქტორი - გიორგი ქავთარაძე |
| ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებაში | ეკონომიკის დოქტორი - ეკატერინე ზვიადაძე |

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

# ქსუ-ში მეორე გამოსაშვები გაიმართა

**ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში (KIU) კურსდამთავრებულთა მეორე, მასშტაბური გამოსაშვები ცერემონია გაიმართა.**

ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა **პაატა ტურავამ**, რომელმაც ახალგაზრდებს სწავლის დასრულება მიულოცა და წარმატება უსურვა.

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს: პარლამენტის განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ **მარიამ ლაშხმა;** საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ლევან ღირსიაშვილმა;** მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის ემერიტუს პრეზიდენტმა, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის საპატიო პრეზიდენტმა, პროფესორმა **ვოლფგანგ ა. ჰერმანმა;** მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის აღმასრულებელმა ვიცე პრეზიდენტმა, პროფესორმა **გერჰარდ კრამერმა**; KIU-ს კანცლერმა **ლევან კოპალიანმა.** საკუთარი, წარმატებული სტუდენტური ისტორია წარადგინა KIU-ს კურსდამთავრებულმა **ანი რუსიეშვილმა.**

ღონისძიებას ესწრებოდნენ საერთაშორისო-საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ჩხეტიანი,** ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის დირექტორი **ვახტანგ ცაგარელი,** ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სკოლების ხელმძღვანელები, KIU-ს ქართველი და უცხოელი პროფესორები, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სტუდენტები და მათი ოჯახის წევრები, სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორები და სხვა მოწვეული სტუმრები.



# ვითარცა მოწმენი და მისანდობნი იმერეთის მეფეთა...

## შეყლაშვილების საგვარეულო



შეყლაშვილ-შეყელაშვილთა ღვთისმშობლის მიძინების საგვარეულო ხატი.

**საქართველოში უამრავი გვარია. თითოეული მათგანი ისტორიული ფენომენია, ცოცხალი ისტორიაა, დიდი საუნჯეა... გვარი ოჯახის მემკვიდრეობითი სახელია. გვარიშვილობა კი ადამიანის ღირსების, მისი მაღალზნეობრიობის მაჩვენებლად გამოიყენება...**

**შეყლაშვილი ერთ-ერთი უძველესი ქართული გვარსახელია, ის წარმოშობილია ისტორიულ საგუთებში მოხსენიებულ გვარ შეყრილაშვილისაგან.**

ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, შეყლაშვილების ფუძე-ადგილია ზემო იმერეთი, საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ულამაზესი სოფელი გორისა.

სიგელების მიხედვით 1660-იანი წლების, გორისაში მცხოვრები შეყრილაშვილები ამჟამინდელი შეყლაშვილების წინაპრები არიან. უძველეს ქართულ სიგელ-გუჯარში შეყლაშვილთა გვარსახელი თავდაპირველად შეყრილაშვილის ფორმით გვხდება, „შეყრილან ერთად“ ჩვენი საგვარეულოს ერთად შეყრილ კაცს შერქმევიათ.

1826-1840-იან წლებში შედგენილ იმერეთის ეპარქიის გორისას, შალაურის, არგვეთის, კორბოულის, ჩხირაულის წმ. გიორგის, საირხის წმ. ნიკოლოზის, იტავაზის, დუნთის მთავარანგელოზის ეკლესიების მეტრიკულ წიგნებში ერთდროულად ჩაწერილნი არიან „შეყრილაშვილები“ და „შეყლაშვილები.“ შემდეგ „შეყრილაშვილი“ ფორმა იშვიათად გამოიყენება.

საქართველოს ისტორიაში ღირსეული წვლილი შეყლაშვილთა ძირძველმა და სახელოვანმა საგვარეულომაც შეიტანა.

„ღუთივ გვირგვინოსანი მეფეთმეფე, ხელმწიფე ბატონი,“ იმერეთის მეფე ბაგრატ მეოთხე 1660-1681 წლებს შორის პერიოდში, წყალობის წიგნს აძლევს თავის ერთგულად ნამსახურ თავად ქაიხოსრო წერეთელს, მის ძმას პაატას, შვილებს: ბეჟანს და ქველს. მეფემ მათ, ერთგულებისა და სამსახურის სანაცვლოდ, უბოძა თავად ლევან აბაშიძის კუთვნილ მამულზე მოსახლე“ სამი კომლი კაცი გორისას შეყრილაშვილები. აგრეთვე საბუთებში დასახელებული გორისელი ოთხი კომლი გლეხიდან სამი კომლი ბაგრატ მეფის სიგელში მოხსენიებული შეყრილაშვილია.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილ საწერეთლოს გლეხების და აზნაურების ნუსხაში ჩაწერილნი არიან საწერეთლო გლეხი კაცები: დათიკი, თამაზა, პაპუნა, თამაზა, ბერი, ბეჟან შეყლაშვილები.

ერთ-ერთი დაცული გადმოცემა გვამცნობს, რომ მათი წინაპარი ქვემო რაჭიდან ჩამოსულან სამოსახლოდ, ზემო იმერეთის სოფ. გორისაში. შეყლაშვილთა საგვარეულოს სალოცავი კი ამ სოფელში არსებული თხმორისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაა, თხმორისი სოფელია ქვემო რაჭაში, შეყლაშვილთა საგვარეულოს ნაწილი ამ ფაქტის გამო საგვარეულოს ძირძველ საცხოვრისად სოფელ თხმორისს მიიჩნევს. 1836 წლის აღწერის მიხედვით შორაპნის მაზრასა შინა სოფელსა გორისას არს ეკლესია თხმორისის წმინდა გიორგისა ქვითკირით აღშენებული, ოდეს აღშენებულ არს სიძველისა გამო არა ცნობილ არს, ჰყვანან სამრევლონი სახლნი 50 კომლი, მდგომარეობს საბატონოსა სოფელსა შინა, მიწა მამული არა აქვს?

თხმორისის წმ. გიორგის ეკლესიის 1843 წლის წიგნში ჩაწერილია მედავითნე ნიკოლოზ გლახუას ძე შეყრილაშვილი, 1848 წლიდან ის კორბოულის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი იყო და შეყლაშვილის გვარს ატარებდა.

თქმულების თანახმად მათ ძველად შიდა ქართლის სოფელ ფლევში უცხოვრიათ, ჟამთა უკუღმართობის გამო შეყლაშვილთა წინაპარი ფუძე საცხოვრისიდან აყრილან და ზემო იმერეთის სოფლებში: გორისაში, ჩონთოსა და კორბოულში გადასულან სამოსახლოდ.

XVII-XVIII საუკუნეთა მანძილზე შემდგარ ქართულ სიგელ-გუჯარში შეყრილაშვილნი იგივე შეყლაშვილნი ჩანან **„ვითარცა მოწმენნი და მისანდომნი იმერეთის მეფეთა, კათოლიკოს-პატრიარქთა, თავადთა, აზნაურთა და უაზნოთა, საქართველოსა და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, შეყლაშვილთა საგვარეულოს მეომარნი კომლზე კაცად გამოდიოდნენ, იმერეთის სამეფო ლაშქარში, ზემო იმერეთის სასარდლოში, თავად წერეთელთა დროშის ქვეშ“.**

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად 1924 წლის აგვისტოს საყოველთაო ანტისაბჭოთა აჯანყებაში მონაწილეობდნენ შეყლაშვილებიც. ამ დროს დახვრიტეს აჯანყებული გორისელი ალექსანდრე კოკოს ძე შეყლაშვილი, 36 წლისა, გლეხი.

გიორგი თედორეს ძე შეყლაშვილი გორისელი შეძლებული გლეხი ყოფილა. მას ჭიათურის მაღაროში უმუშავია. ამ დროს იქ რევოლუციური იდეების პროპაგანდისთვის სტალინს დაპირისპირებია და მასთან უჩხუბია. გიორგი შეყლაშვილი უკმაყოფილო იყო ბოლშევიკური მთავრობით და მას უპირისპირდე-



ბოდა ყველაგან, სადაც ამის საშუალება ეძლეოდა, ის კოლმეურნეობაში წევრადაც არ შესულა. კომუნისტების მოწინააღმდეგე იყო გიორგი შეყლაშვილის შვილი შალვა, რომელიც ამის გამო დახვრიტეს.

1927 წელს კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის დაუპატიმრებიათ შალიკო გიორგის ძე შეყლაშვილი, 1903წელს დაბადებული, მენშევიკი. 1928 წლის 9 იანვარს ის 3 წლით საკონცენტრაციო ბანაკში გადაასახლეს.

შეყლაშვილებს ჰყავთ უახლესი ისტორიის ეროვნული გმირი **ილია ვაჟას ძე შეყლაშვილი.**

დაიბადა 1984 წელს თბილისში. მან აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, სავალდებულო წესით იმსახურა საქართველოს შეიარაღებული ძალების სამთავრობო დაცვის ნაწილში, შემდეგ, კი ოთხწლიანი ხელშეკრულებით თბილისის ვაზიანის, ქუთაისისა და სენაკის სამხედრო ქვედანაყოფებში მსახურობდა.

ილია შეყლაშვილი რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომში, სენაკის მეორე ბრიგადის შემადგენლობაში, შიდა ქართლში იბრძოდა. 11 აგვისტოს მისი ასეულის ოცამდე მებრძოლი შინდისთან თავგანწირვით შეებრძოლა რუსეთის 58-ე არმიის ასეულს. რუსული სამხედრო ნაწილის მეთაურს ქართველი ვაჟკაცების წინააღმდეგ დამხმარე ძალა გამოუძახია.

აგრესორებმა, თითქმის ყველა სახეობის იარაღის გამოყენებით, ტანკების მონაწილეობით, შეუტიეს ალყაში მოქცეულ ქართველ ჯარისკაცებს. თორმეტმა ჭაბუკმა გმირულად იბრძოლა, მტერს არ დანებდა და თავი გაწირა სამშობლოსათვის.



თხმორისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია.

კაპრალ ილია შეყლაშვილს სნაიპერის ტყვია მაშინ დაეწია, როდესაც დაჭრილი თანამებრძოლის შუაცეცხლიდან გამოყვანას ცდილობდა.

შინდისთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა 17 ქართველი ვაჟკაცი.

ილია შეყლაშვილი, თანამებრძოლებთან ერთად, თბილისში, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს. ის დაღუპვის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისთვის.“

„შინდისის გმირები“-ის სახელი მიენიჭა გორში შინდისის გზატკეცილს. გმირულად დაღუპული ილია შეყლაშვილის სახელი ეწოდება თბილისში ქუჩას დიღომში.



ილია ვაჟას ძე შეყლაშვილი

შეყლაშვილთა საგვარეულოში შემონახული კიდევ ერთი თქმულება წერეთელთა კარზე მომსახურე ძმათა პავლე და კიკო შეყლაშვილთა შესახებ მოგვითხრობს. ერთხელ წერეთელს კიკო უმიზეზოდ გაუროზგავს, ვერ აუტანია კიკოს დამცირება და თავადი მოუკლავს, შემდგომ სისხლის ღვრას გამორიდებიან ძმები და შიდა ქართლის სოფელ წაღვლში გადასულან საცხოვრებლად, უმცროსი ძმა პეტრე სოფელ გორისაში დარჩენილა და მისი შთამომავალნი დღემდე აქ სერელების უბანში ცხოვრობენ. გადმოცემას ადასტურებს 1864 წელს შიდა ქართლის სოფელ წაღვლში ჩატარებული აღწერის დავთარი, რომელშიც მოხსენიებულნი არიან სოფელ გორისიდან გადმოსახლებული ძმები პავლე და კიკო გიორგის ძე შეყლაშვილები, აღწერის სისწორეს 1873 წლის 13 აგვისტოს ხელმოწერებით და ბეჭდის დასმით ადასტურებენ წაღვლის მამასახლისი ივანე კაპანაძე და საზოგადოებიდან გამორჩეული გიორგი კაპანაძე, რომელთა შთამომავალნიც XX საუკუნის დასაწყისში შეყელაშვილთა გვარსახელზე დაწერილან.

2018 წლის 21 ოქტომბერს თბილისში, სამების საკათედრო ტაძარში შეიკრიბა უამრავი შეყლაშვილი და შეყელაშვილი. ისინი დალოცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. მთელი ქვეყნის მასშტაბით მცხოვრები შეყლაშვილი-შეყელაშვილი დაუახლოვდნენ ერთმანეთს და საერთო ამოცანების შესასრულებლად დაიწყეს საქმიანობა: შეგროვდა შემოწირულობები, დაიწერა ღვთისმშობლის მიძინების საგვარეულო ხატი, საგვარეულო გერბი, დროშა. **საქართველოს მასშტაბით შეყლაშვილების და შეყელაშვილების განსახლების სურათი ასეთია: შეყლაშვილები – 1347; შეყელაშვილები – 294.**

**შეყლაშვილების და შეყელაშვილების ახალგაზრდა, მომავალი თაობები უერთგულებენ და გააგრძელებენ წინაპართა ტრადიციებს, ღირსეულად ემსახურებიან ოჯახებს, გვარიშვილობას, სამშობლოს და შექმნიან საგვარეულო ისტორიის ახალ, სახელოვან ფურცლებს.**

**ათეულობით შეყლაშვილი და შეყელაშვილი ცხოვრობს საზღვარგარეთ, ღმერთმა ამრავლოს და გააძლიეროს შეყლაშვილები და შეყელაშვილები.**

**თეიმურაზ შეყლაშვილი**
გვარის მეთაური

## რედაქციისგან:

### თეიმურაზ იურის ძე შეყლაშვილი



**დაიბადა 1983 წლის 15 ივნისს. საჩხერის რაიონის, სოფელ გორისაში. მამა იური შეყლაშვილი ინჟინერია, დედა მარინე გეგეშიძე კი – პედაგოგი.**

**2000 წელს დაამთავრა ჭიათურის მესამე საშუალო სკოლა, 2005 წელს კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი რკინიგზის მშენებლობის, სადგურების კვანძებისა და სალიანდაგო მეურნეობის სპეციალობით.**

**2008 წელს მსახურობდა საქართველოს რკინიგზის დეპარტამანეტში;**

**2009-2012 წლებში იყო პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმი“-ის გლდანის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი;**

**2013-2014 წლებში მსახურობდა თბილისის მერიის სატრანსპორტო კომპანია „მეტროპოლიტენში;“**

**2015-2018 წლებში თ. შეყლაშვილი სამშენებლო კომპანია „ბალავარი“-ის შრომის უსაფრთხოების სამსახურს ხელმძღვანელობს;**

**2018-2025 წლებში დაფუძნდა შპს „გორისლები“.**

**არის შეყლაშვილებისა და შეყელაშვილების საგვარეულო კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. ერთმანეთს დააკავშირა სხვადასხვა ადგილზე მცხოვრები გვარიშვილები. მისივე ინიციატივით და ხელმძღვანელობით 2018 წლის 21 ოქტომბერს თბილისის სამების საკათედრო ტაძარში დაილოცა შეყლაშვილებისა და შეყელაშვილების გვარები.**

**თეიმურაზ შეყლაშვილს ჰყავს მეუღლე მანანა გაფრინდაშვილი და შვილები: დავითი, ოთო და ირაკლი შეყლაშვილები.**



მიმდინარე წლის ივნისის თვეში ჩინეთის ქალაქ შანხაიში მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ღვინის კონკურსზე საქართველოს ჩათვლით, 20 ქვეყანა მონაწილეობდა.

ხუთდღიანი საერთაშორისო კონკურსის ერთი საკონკურსო დღე მთლიანად ქართულ ღვინოს დაეთმო. საქართველოდან წარდგენილი 200 ღვინის ნიმუშიდან 96-მა ჯილდო მოიპოვა, აქედან – 10-მა პლატინა, 44-მა – ოქრო, 35-მა – ვერცხლი, 2-მა – „საუკეთესო ტროფი“, 5-მა – „პოპულარული“. არ დაგიმალავთ, ამან აღმაფრთოვანა, სიამაყის გრძნობა დამეუფლა და ჩვენი ქვეყნის წარსულში გამახედა. საქართველოში ხომ მევენახეობა-მეღვინეობის მსოფლიოში უძველესი ნაკვალევია აღმოჩენილი. ღვინის ისტორია ნეოლითის ხანაში დაიწყო და ამის დამადასტურებელი ფაქტები ყველაზე ცხადად ჩვენს ქვეყანაში გამოჩნდა.

# ქართული ღვინის ტრიუმფი

**რამდენიმე ათეული წლის წინ, ქვემო ქართლში, თბილისის სამხრეთით, მარნეულის ველზე, დანგრეული გორას ნასახლარში არქეოლოგებმა ძვ.წ. VI ათასწლეულის ყურძნის რამდენიმე წიპწა აღმოაჩინეს და მორფოლოგიური და ამპელოგრაფიული ნიშნების მიხედვით იგი ვაზის კულტურულ სახეობას მიაკუთვნეს.**



გარდა ამისა, მეცნიერებმა შეისწავლეს გადაჭრილი გორას ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ქიმიური ანალიზის შედეგად, თიხის ჭურჭლის შიგთავსი ღვინის მჟავის, კალციუმის მარილის არსებობა დადასტურდა. ღვინის მჟავის წყარო მხოლოდ და მხოლოდ ღვინის ან ყურძნის წვენი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ამ აღმოჩენებმა დაადასტურეს, რომ ადამიანისა და ვაზის ურთიერთობა ძვ. წ. VI ათასწლეულიდან იღებს სათავეს და რომ საქართველოს ტერიტორიაზე არა მხოლოდ პირველი კულტურული ვაზი გვხვდება, არამედ ღვინის პირველი ნაშთებიც. ჩვენს ერამდე VI-V ათასწლეულებით დათარიღდა ანაკლიის დიხაგუძუბაში აღმოჩენილი წიპწები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ჯერ კიდევ ენეოლითური პერიოდის დროს, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში იცნობდნენ ვაზის კულტურას და მას საკმაოდ დიდი როლი ეკავა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში. ნაპოვნია ასევე კულტურული ვაზის უშუალო წინაპარი – გარეული ვაზი – კრიკინა (უსურვაზი), რომელიც დღეს წითელ წიგნშია შეტანილი. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ვაზის კულტურის გარდა, მევენახეობის კულტურამ აქ ყველა მისთვის დამახასიათებელი საფეხური გაიარა.

გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ენეოლითის დროინდელი ძველისძველი მარანი, აქ ღვინის შესანახად გამოიყენებოდა უზარმაზარი, მიწით დაფარული თიხის ქვევრები. აგრეთვე აღმოჩენილია ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ფიალები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალაზნის ველის სამაროვნები (ძვ.წ. III-II ათას.). ამ მხრივ ძალიან მდიდარია მტკვარ-არაქსის კულტურის ქართული კერები. გათხრების შედეგად აღმოჩენილია მცხეთის რაიონის მახლობლად (ზაგინეთში) სხვადასხვა კერამიკული ჭურჭელი, რომელიც თარიღდება ძვ.წ. IV-III ათასწლეულებით. ბორჯომში ნაპოვნია – 11, ვარძიაში კი – 100-მდე ქვევრი, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო ორმაგკედლიანი, თერმოსის მსგავსი, რაც თავისთავად უნიკალური მოვლენა გახლავთ.

ჩვენი მატერიალური მემკვიდრეობა იცნობს აგრეთვე: ყურძნის დასაწურ ძველ მოწყობილობებს, თიხის და ლითონის ჭურჭლებს, სხვადასხვა ფორმისა და სახის სასმისებს, ღვინის დასაყენებელ და შესანახ ქვევრებს და სხვა. ეს კულტურული კერები მდებარეობენ, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტიაზე, კერძოდ: შულავერში, მცხეთაში, თრიალეთში, ბიჭვინთაში, ალაზნის ველზე, მესხეთში და სხვა. მეღვინეობის ამსახველი სხვადასხვა ორნამენტებიანი ჭურჭელია ნაპოვნი სამთავისში, იყალთოში, ზარზმაში, გელათში, ნიკორწმინდაში, ვარძიასა და საქართველოს სხვა რეგიონებში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თრიალეთის კულტურა (ძვ.წ. III-II ათასწ.), სადაც უნიკალური ღვინის თასები, ბარძიმები, დოქები და სხვა სახის ჭურჭელია აღმოჩენილი. მათ შორის გამორჩეულია ვერცხლის ცნობილი თასი, რომელზეც გამოსახულია რელიგიური რიტუალი, რაც ღვინის თანხლებით სრულდებოდა და საკმაოდ მასშტაბური უნდა ყოფილიყო ორნამენტული კომპოზიციის თვალსაზრისით. აგრეთვე აღსანიშნავია ოქროს თასი, რომელიც მოპირკეთებულია სხვადასხვა სახის ძვირფასი თვლებით. ასეთი ბარძიმები უმთავრესად მათრობელი სითხის, ღვინის დასალევად გამოიყენებოდა. ამაზე მიუთითებს მათ ზედაპირზე დალექილი ნარჩენებიც.

საქართველო უკვე დიდი ხანია ღვინის სამშობლოს სტატუსით სარგებლობს. სრულიად ახლახან (2006 წ.) მცხეთასთან აღმოჩენილ იქნა **„თამადის“** პატარა ბრინჯაოს სკულპტურა, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით დათარიღდა. ბრინჯაოს ამ სკულპტურას ხელში უჭირავს ყანწი (ძველქართულად – ჯიხვი). შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ადამიანი იქ მყოფებს სიტყვით მიმართავს – ლოცვას აღავლენს, სადღეგრძელოს ამბობს, ან ბრძოლისაკენ მოუწოდებს... ეს ყველაფერი ხომ ღვინის კულტთანაა დაკავშირებული? რამდენად დიდი იყო მისი სიახლოვე და გავლენა, რომ ადამიანმა ეს დამოკიდებულება ქანდაკებაშიც კი ასახა.

ვაზის კულტთან არის დაკავშირებული ქრისტიანობის გავრცელებაც საქართველოში. როცა წმინდა ნინომ, საკუთარი თმით ვაზისგან შეკრა ჯვარი და იმით უქადაგა ქართლოსის ნათესავთ ქრისტეს რჯული. საფიქრებელია, რომ ვაზის ჯვარი წარმართულ საქართველოშიც ღვთაებრივ სიმბოლოდ, საიდუმლოს ზიარად ითვლებოდა, რისი ჯვრად ქცევაც ერის სულიერების უმაღლეს ცოდნასთან ზიარების ნიშანი იყო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარდა, არც ერთ ქრისტიანულ ქვეყანაში არ არსებობს „ვაზის ჯვრის კულტი“.

ჩვენში ვაზისა და ღვინის არსებობაზე უამრავი წერილობითი ცნობებია დაცული ბერძნულ, სპარსულ და ქართულ წყაროებში, ასე მაგალითად: ქსენოფონტე (ძვ. წ. V ს.) წერს, რომ კოლხების ღვინო „სურნელოვანი და საამო“ იყო; სტრაბონის (ძვ. წ. I ს.) ცნობით, იბერიაში ყურძენი ფართოდ გავრცელებული ყოფილა და ზოგჯერ ისეთი მოსავალი მოდიოდა, მოსახლეობას მისი სრულად მოხმარება არ შეეძლო; პროკოფი კესარიელი (VI ს.) გვიამბობს – „მესხები შრომის მოყვარენი არიან, მათ ბევრი ვენახი აქვთ და თავიანთი ღვინო სხვადასხვა ქვეყნებში გააქვთ გასაყიდად.“ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ცნობაა, ვინაიდან ცხადი ხდება, რომ ძველ მესხებს ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული მეზობელ ქვეყნებთან და ადგილობრივი პროდუქტი ექსპორტზე იგზავნებოდა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ღვინო ერთ-ერთი ყველაზე რთული გადასაადგილებელი პროდუქტია, თუ სათანადოდ არ მოეპყარი მას, სასაქონლო სახეს დაკარგავს, აქედან გამომდინარე, ალბათ გაკვირვებას აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ ჩვენში თერმოსის ტიპის ქვევრები არსებობდა და შეიძლება მათი მეშვეობითაც ხდებოდა ღვინის ექსპორტში გატანა. ასე, რომ მეზობელი სახელმწიფოების შაჰების, სულთანთა და ფაშა-ამირების დარბაზობა – წვეულებებს მაღალხარისხოვანი ქართული ღვინო ამშვენებდა. ირანის შაჰის კარზე კახურ ღვინოს „ედემის სითხეს“ ეძახდნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით შთამბეჭდავია უძველესი ლურსმნული წარწერა, რომელიც ასურელთა სამეფოს დიდების ჟამს აღწერს მათ მიერ მეზობელი ქვეყნების დაპყრობის შესახებ. აქვე აღნიშნულია, რომ ხარკს, რომელსაც ისინი დაპყრობილი ქვეყნებიდან მხოლოდ ოქროთი კრეფდნენ, ეგრეთ წოდებულ „ვალს“ საქართველოდან ღვინით იღებდნენ. ასე რომ, ქართული ღვინო, რომელიც უხსოვარი დროიდან ოქროდ ფასობდა, მოსვენებას უკარგავდა მტერს. ისიც ქვეყნის ეკონომიკის მოშლისა და განადგურებისათვის პირველ რიგში ვენახსა და ვაზს ჩეხდა. უდიდესი ზიანის მიუხედავად, ქართველმა კაცმა არა თუ აღადგინა, არამედ 500-მდე ვაზის ჯიშის გადარჩენა შეძლო. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ვაზში ჩვენი ხალხი თავის ჭირთა თმენას და ვაჟკაცურ სულსაც ხედავდა. ამასთან დაკავშირებით ვაზსა და ღვინოზე ჩვენში ხალხური ზეპირსიტყვიერების არაერთი ბრწყინვალე ნიმუში არსებობს:



ბრინჯაოს ქანდაკება ყანწით ხელში, აღმოჩენილია ვანში არქეოლოგიური გათხრების დროს, თარიღდება ძვ.წ. VII საუკუნით

**„ვაზო შვილივით ნაზარდო,**
**მოვკვდები მე შენს ძირშია,**
**შენით ვარ მხნე და გულადი,**
**იმედო – გასაჭირშია!“**

**„მიგრეხილო-მოგრეხილო,**
**ზედ მიკრულო მაგრად ხესო,**
**ცოცხალი ვარ, შენ მაცხოვრებ,**
**მოვკვდები – შენ დამმარხეო“.**

**„ვაზის ფესვებს გაუმარჯოს,**
**მტევნის ოქროს ვარაყებს,**
**თუ დაგჭირდა დაგათრობს და**
**ღმერთთან გალაპარაკებს!“**

**„ღვინო კახურო ვარ შენი მსმელი,**
**გინდ თეთრი იყო, გინდა წითელი,**
**ღვინოს შეჰხარის კაცი თუ ქალი,**
**ყველას ღვინისკენ უჭირავს თვალი.**
**შენა ხარ ჩვენი, შვება და ლხენა,**
**შენგან არ მახსოვს მისხალი წყენა“...**

აქვე მინდა მოვიყვანო ცნობილი ფრანგი მოღვაწის, მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტის ბარონ ლე რუას სიტყვები –

**„დედამიწაზე თუკი არსებობს რეგიონი, სადაც უძველესი დროიდან მევენახეობა-მეღვინეობაა განვითარებული, ეს საქართველოა! აი, თურმე სად ყოფილა ვაზისა და ღვინის საუფლო! მაგალითად, კახეთი, ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი ულამაზესი და უბრწყინვალესი მარგალიტი“...**

ქართულ ღვინოს დღეს დიდი აღიარება აქვს მსოფლიო მასშტაბით. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ლონდონში დაფუძნებულ მუდმივმოქმედ ღვინის გამოფენა „ვინოპოლისში“ პირველი სტენდი საქართველოს ერგო წილად სახელწოდებით „ღვინის აკვანი“, რაც თავისთავად ბევრის მეტყველია.

ამჟამად საქართველოში გაშენებული ვენახების საერთო ფართი 49570 ჰა-ს შეადგენს. ახალი ვენახების გაშენება კვლავ ინტენსიურად გრძელდება. ამავე დროს უდიდესი ყურადღება ექცევა ღვინის ხარისხს, რაც შანხაის ღვინის საერთაშორისო კონკურსმაც დაადასტურა. დარწმუნებული ვარ, ჩვენდა საამაყოდ, უნიკალური ქართული ღვინოები ბევრჯერ გაგვახარებენ თავისი გამარჯვებებით!

**გელა ქოქიაშვილი,**
**ინჟინერ-ტექნოლოგი, მეცნიერების ასოცირებული დოქტორი, ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრი.**



საქართველოს რესპუბლიკა — ჟურნალისტის თვალსაწიერი — №142. ოთხშაბათი, 22 ოქტომბერი, 2025 წელი

# სერბეთთანაც ორმაგი თამაში?!



**სერბეთსა და თურქეთს შორის შავმა კატამ გაირბინა. ურთიერთობის გაფუჭების მიზეზი თურქეთის მიერ კოსოვოსთვის სამხედრო დრონების გადაცემა გახდა. კოსოვოს არმიის დრონებით შეიარაღების ფაქტი კოსოვოს პრემიერ-მინისტრმა, ალბინ-კურტიმ გაახმოვანა.**

მისი თქმით, თურქეთი კოსოვოს 1000-ზე მეტ დრონს გადასცემს, რომელიც, არა სადაზვერვო, არამედ ე.წ. კამიკაძე საფრენი აპარატებია. შეგახსენებთ, კამიკაძე, ანუ, თვითმკვლელი დრონები, უკრაინის ომის დროს, ერთ-ერთი მთავარი საჰაერო გამანადგურებელი სისტემა გახდა. ისინი ცნობილია, როგორც, შთამბეჭდავი საბრძოლო მოწყობილობა, რადგან მათ შეუძლიათ დაყოვნდნენ პოტენციურ სამიზნედ განსაზღვრულ ზონაში და დაარტყან მაშინ, როცა მტრის აქტივი გამოვლინდება. ის პატარა ზომისაა და მისი გაშვება ადვილია.

თუმცა, დრონების მთავარი უპირატესობა ისაა, რომ მათი აღმოჩენა ძნელია და სროლა შორი მანძილიდანაც შეუძლიათ. ზუსტად ასეთ დრონებს, სახელად, Skydagger, მიაწვდის თურქეთი კოსოვოს. ამ ინფორმაციაზე ბელგრადს მწვავე რეაქცია ჰქონდა. სერბეთის მეთაური ვუჩიჩი, რომელიც გაწონასწორებული დიპლომატიური კომუნიკაციის სტილითაა ცნობილი, არ მალავდა აღშფოთებას და, მედიის წინაშე, თურქეთის მიმართ, მწვავე კრიტიკული აზრები გამოხატა: მე შეძრწუნებული ვარ თურქეთის საქციელით. ახლა აბსოლუტურად ნათელი გახდა, რომ თურქეთს არ სურს სტაბილურობა ბალკანეთში. ის კვლავ ოცნებობს ოსმალეთის იმპერიის აღორძინებაზეო, განაცხადა ვუჩიჩმა.

ექსპერტების აზრით, სერბეთის ლიდერის მწვავე რეაქცია დიდწილად განპირობებულია ვუჩიჩის უშედეგო მცდელობით, დაახლოებოდა ერდოღანს. ის ყოველთვის ცდილობდა, კოსოვოს საკითხში თურქეთის პოზიცია შეერბილებინა.

შარშან ასეთი დაახლოების მცდელობა, თითქოს, წარმატებული აღმოჩნდა. ერდოღანი ოფიციალური ვიზიტით ბელგრადს ეწვია. გახარებული ვუჩიჩი ერდოღანის მიმართ კომპლიმენტებს არ იშურებდა. მან თურქეთის ლიდერს სერბეთის ძმა და მეგობარი უწოდა. ახლა, მდგომარეობა შეტრიალდა. პრეზიდენტმა ალექსანდრ ვუჩიჩმა გაეროსაც კი მოუწოდა, ანკარის მიერ თვითგამოცხადებული კოსოვოს რესპუბლიკისთვის უპილოტო საფრენი აპარატების მიწოდებაზე რეაგირება მოეხდინა. გაერთიანებულმა ერებმა ორივე მხარეს უნდა მოსთხოვოს პასუხი, თუ რატომ სჭირდება კოსოვოს ეს კამიკაძე დრონები. სერბეთის გენ-შტაბის უფროსმა, მილან მოისილოვიჩმა, ამ საკითხზე, ნატოს გენშტაბთან და კოსოვოში ნატოს კონტინგენტის მეთაურთან სატელეფონო საუბარი გამართა.

სერბეთის გენერალმა მკაცრი პროტესტი გამოთქვა და დასძინა, რომ თურქეთის მიერ კოსოვოსთვის გადაცემული დრონები საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ კოსოვოს, არამედ, მთელი ბალკანეთის რეგიონის უსაფრთხოებას. ნატოს წარმომადგენლებმა გენერლის დამშვიდება სცადეს. მათი თქმით, კოსოვოს არმიას არ აქვს ამ დრონების გამოყენების უფლება, ვიდრე ნატოს სამშვიდობო ძალები არ გასცემს ამის ნებართვას. კოსოვოს პრემიერმა საუბარში შემრიგებლური ტონი არჩია. მან განაცხადა, რომ დრონების შესახებ თურქეთთან ხელშეკრულება შარშან გაფორმდა, და ამის შესახებ კარგად იცოდა ვუჩიჩმა, მაგრამ მაშინ მას ხმა არ ამოუღიაო. სერბეთის ექსპერტების აზრით, თურქეთი არასდროს არ მალავდა, რომ ის მუდამ ალბანეთისა და კოსოვოს გვერდით იქნება. ევროპელი ექსპერტები ამ აზრს იზიარებენ.

**მათი თქმით, კოსოვოს შეიარაღება სერბეთის წინააღმდეგ კი არაა მიმართული, ის კოსოვოს ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობას უწყობს ხელს. ბელგრადს ეს ახსნა განმარტება არ მოსწონს და ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს. ვუჩიჩის თქმით, დასავლეთი ამ საკითხში ორმაგ სტანდარტს იყენებს. როცა სერბეთმა ჩინეთისგან სარაკეტო დანადგარები იყიდა, ამერიკამ და ევროპამ საქციელი დაუწუნა. თავად კი, კოსოვოს აღიარებენ. ორმაგი სტანდარტი — აბა, სხვა რა ჰქვია ამას?!**

# სლოვენიას მკვეთრი ანტიისრაელური განწყობა აქვს!

**მსოფლიოში, ცოტა რამ იციან სლოვენიაზე. უმრავლესობისთვის, ის მხოლოდ ამერიკის პირველ ლედისთან ასოცირდება, რადგან მელანია ტრამპი, წარმოშობით, სლოვენიიდანაა. ცენტრალურ ევროპაში მდებარე ეს პატარა სახელმწიფო თავისუფლების მხოლოდ 35 წელს ითვლის. სლოვენიელები სერბების მონათესავე და მათი ბედ-იღბლის გამზიარებელი ხალხია.**



მე-15 საუკუნიდან პირველ მსოფლიო ომამდე, სლოვენია ავსტრიის იმპერიის ნაწილი იყო. ომის შემდეგ, ის ახალშექმნილ სახელმწოფოს, იუგოსლავიას, შეუერთდა. 1991 წელს, რეფერენდუმის შედეგად, სლოვენია პირველი გამოვიდა იუგოსლავიის შემადგენლობიდან და დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა. მეზობელი ხორვატიისა და ბოსნიისგან განსხვავებით, სახელწიფო დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესი აქ მშვიდობიანად წარიმართა, რომლის ერთ-ერთ მიზეზად მოსახლეობის ეთნიკური ერთგვაროვნება სახელდება.

სლოვენია იმ პირველი შვიდი ქვეყნიდან ერთ-ერთია, რომელიც, 2002 წელს, ნატოში მიიწვიეს. იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკებს შორის, ევროკავშირშიც პირველი გაერთიანდა. ტერიტორიულად, საქართველოზე სამჯერ პატარა სლოვენიის მოსახლეობა ორ მილონზე ოდნავ მეტია. ქვეყანა არც წიაღისეული სიმდიდრითაა გამორჩეული, მაგრამ სლოვენიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქვეყნის საზოგადოებამ და პოლიტიკურმა ელიტამ საკმაოდ ადვილად გადალახა პოსტკომუნისტური მენტალიტეტი და ეკონომიკურად მოწინავე ქვეყანა ააშენეს. წარმატების მიზეზი სწორი ეკონომიკური რეფორმებია. სლოვენიამ საქონლის წარმოებასა და ინოვაციებზე გაამახვილა ყურადღება. მაგალითისთვის, ფარმა-ინდუსტრიის მკვეთრი განვითარების ფაქტიც კმარა, რომელმაც ქვეყანა, ამ მიმართულებით, ევროპის ლიდერად აქცია.

სლოვენია საპარლამენტო რესპუბლიკაა, რომლის ახლანდელი ლიდერი 58 წლის გამოცდილი პოლიტიკოსი **რობერტ გოლობია.** ის ყოფილი იუგოსლავიის დასავლეთში დაიბადა. გოლობმა ლიუბლიანას უნივერსიტეტის ელექტროტექნიკის ფაკულტეტი დაამთავრა და იმავე სასწავლებლის ასპირანტურაში განაგრძო სწავლა. 1994 წელს, ელექტროტექნიკის დარგში, დოქტორის წოდება მიიღო. მოგვიანებით, რობერტ გოლობმა, როგორც ფულბრაიტის სტიპენდიატმა, ამერიკაში, ჯორჯიის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში განაგრძო სწავლა.

1998 წელს, სლოვენიის ევროკავშირში გაწევრების დროს, გოლობი ქვეყნის ენერგეტიკის პრობლემების კოორდინაციის ჯგუფს ხელმძღვანელობდა. ერთი წლის შემდეგ, ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე დანიშნეს. იმავე წელს, ლიბერალურ დემოკრატიულ პარტიაში გაწევრდა. 2002 წელს რობერტ-გოლობი ქალაქ ნოვა გორიცას საკრებულოს წევრად აირჩიეს. ორი წლის შემდეგ, სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანია დააფუძნა, რომელსაც, მალე, თავად ჩაუდგა სათავეში. 15 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ კომპანიას. 2011 წელს, რობერტ გოლობმა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია დატოვა და სლოვენიის მემარცხენე პარტიაში გადავიდა. ის პარტიის ლიდერის მოადგილედ დანიშნეს. 2013-14 წლებში, შიდა განხეთქილების შედეგად, პარტია ორ, ცენტრისტულ და რადიკალურ ბანაკად გაიყო. თავიდან გოლობი მათ შერიგებას ცდილობდა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

მოგვიანებით, ცენტრისტულ ბანაკს შეუერთდა, რომელმაც ახალი პარტია, ალენკა-ბარტუშეკის-ალიანსი შექმნა. ამ პარტიაშიც, გოლობს ლიდერის მოადგილის თანამდებობა ეკავა. 2014 წლის საპარლამენტო არჩევნებში, გოლობის პარტია დამარცხდა, რის გამოც, მან პარტიული აქტიურობა, ჯერ შეანელა და, ბოლოს, პარტია სამუდამოდ დატოვა. 2022 წელს, გოლობი აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნდა და მწვანეთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. მისი ინიციატივით, პარტიის რებრენდინგი მოხდა და თავისუფლებისთვის მოძრაობა დაერქვა. იმავე წელს, განახლებულმა პარტიამ, საპარლამენტო არჩევნებში, წარმატებას მიაღწია: ქვეყნის 90-ადგილიან პარლამენტში 41 მანდატი მოიპოვა. მთავრობის ჩამოსაყალიბებლად, მხოლოდ ექვსი მანდატი დააკლდა. ამიტომ, მემარცხენეებთან ერთად შექმნა სამთავრობო კოალიცია. 2022 წლის ივნისში, რობერტ გოლობი სლოვენიის მე-15 პრემიერ-მინისტრად აირჩიეს. 2023 წელს, ის სკანდალში გაეხვა. გადაყენებულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ტატიანა ბობნარმა, გოლობის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ექსმინისტრი გოლობს ზეწოლასა და კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებდა. გოლობი თავს უდანაშაულოდ თვლიდა და ყოფილ მინისტრს განაწყენებულ, პოლიტიკურად ანგაჟირებულ ადამიანს უწოდებდა. პროკურატურამ და საპარლამენტო კომისიამ საქმე მაინც აღძრა, მაგრამ, მტკიცებულებების არქონის გამო, საქმე დაიხურა. 2024 წლის ზაფხულში, სლოვენიის პრემიერ-მინისტრმა, შვეიცარიაში უკრაინის საკითხზე ორდღიანი სამშვიდობო კონფერენციის ნაცვლად, NBA-ს მატჩზე დასწრება ამჯობინა. პოლიტიკოსის თქმით, მან საერთაშორისო შეხვედრა შვებულებაში ყოფნის გამო გამოტოვა.

**ოპოზიციამ პრემიერ-მინისტრი მწვავედ გააკრიტიკა, რადგან მან მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებზე მსჯელობაში მონაწილეობას გართობა არჩია. ამ დროს, სლოვენიაში პროფკავშირების რამდენიმე გაფიცვაც მიმდინარეობდა. საგარეო პოლიტიკაში რობერტ გოლობს მკვეთრი ანტიისრაელური განწყობა აქვს. 2024 წელს, სლოვენიამ პალესტინის სახელმწიფო აღიარა. წელს კი, ისრაელის ულტრამემარჯვენე პოლიტიკოსებს, იტამარ ბენ გვირს და ბეცალელ სმოტრიჩს, სანქციები დაუწესა. რობერტ გოლობი მეორე ქორწინებაშია. ახლა, მისი მეუღლე სლოვენიის ცნობილი მოდელი და ინფლუენსერი თინა გაბერია. რობერტ გოლობს სამი შვილი ჰყავს.**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

**POSTV**

## სარკოზი ვაჟკაცი ყოფილა — საკუთარი ფეხით...



**საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი პარიზის სანტეს ციხეში ხუთი წლით ჩასვეს. ინფორმაციას ფრანგული მედია ავრცელებს.**

მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამიერიდან სარკოზი ოფიციალურად პატიმარია. ეს ქვეყნის ისტორიაში ყოფილი პრეზიდენტის დაპატიმრების პირველი შემთხვევაა. ციხის საკანში შესვლამდე სარკოზის, როგორც სხვა პატიმრებს სასჯელაღსრულების დაწესებულების შიდა განაწესის მიხედვით რიგი ადმინისტრაციული პროცედურების გავლა მოუწევს. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ციხეში საკუთარი ფეხით მივიდა. მას თავისი მეუღლე კარლა ბრუნი აცილებდა.

**ცნობისთვის:** სარკოზი 2007 წელს ლიბიის მიერ მისი წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებაში ცნეს დამნაშავედ. გამოძიების თანახმად, ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი სარკოზის საარჩევნო კამპანიას ფარულად აფინანსებდა და მას მილიონობით ევრო გამოუყო. ფული პარიზში მალულად ჩემოდნებით იგზავნებოდა.

## ტრამპი საბანკეტო ოცნებას ისრულებს



**თეთრი სახლის ტერიტორიაზე ახალი, დიდი და ლამაზი საბანკეტო დარბაზის მშენებლობა დაიწყო,** — ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** სოციალურ ქსელში წერს. ტრამპის თქმით, ყველა პრეზიდენტი ოცნებობდა თეთრ სახლში საბანკეტო დარბაზზე, ის კი პირველი პრეზიდენტია, რომელმაც დაიწყო ეს პროექტი.

**„სიხარულით გაცნობებთ, რომ თეთრი სახლის ტერიტორიაზე ახალი, დიდი და ლამაზი საბანკეტო დარბაზის მშენებლობა დაიწყო. თეთრი სახლისგან სრულიად განცალკევებით, ამ პროცესის ფარგლებში, აღმოსავლეთის ფრთა სრულად მოდერნიზებული იქნება და დასრულების შემდეგ უფრო ლამაზი გახდება, ვიდრე ოდესმე. 150 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ყველა პრეზიდენტი ოცნებობდა თეთრ სახლში საბანკეტო დარბაზზე, სადაც დიდ წვეულებებზე, სახელმწიფო ვიზიტებზე და ა.შ. დასწრებას შეძლებდნენ. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ვარ პირველი პრეზიდენტი, რომელმაც საბოლოოდ დაიწყო ეს ძალიან საჭირო პროექტი — ამერიკელი გადასახადის გადამხდელებისთვის ნულოვანი ხარჯებით. თეთრი სახლის საბანკეტო დარბაზს კერძო დაფინანსება აქვს მრავალი გულუხვი პატრიოტისა და დიდი ამერიკული კომპანიების მხრიდან. ამ საბანკეტო დარბაზს სიამოვნებით გამოიყენებენ მომავალი თაობები“,** — წერს **დონალდ ტრამპი.**



# უმსხვილესი უცხოური ინვესტიცია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში

(პირველი გვერდიდან)

პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა პროექტის შთამბეჭდავ მასშტაბს და აღნიშნა, რომ ის სრულიად ახალი, თანამედროვე ურბანული ეკოსისტემების შექმნას გულისხმობს, რაც ათასობით ახალ, მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილს შექმნის.

**„თბილისში, კრწანისში, 600 ჰექტარზე, შენდება ახალი მწვანე ქალაქი – მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი მოცულობის საცხოვრებელი და კომერციული კომპლექსებით, სასტუმროებითა და რეკრეაციული სივრცეებით. ბათუმში კი, ყოფილი პოლიგონის ტერიტორიაზე, 250 ჰექტარზე, იქმნება შავი ზღვის სანაპიროს ახალი მარგალიტი – პრემიუმ კლასის კურორტი, რომელიც უმაღლესი კლასის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას გულისხმობს. Eagle Hills-ის პროექტები, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ათასობით ახალ, მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილს ჩვენი მოქალაქეებისთვის, როგორც მშენებლობის, ისე ოპერირების ეტაპზე. ეს არის ახალი შესაძლებლობები მომიჯნავე ბიზნესებისთვის და უმძლავრესი სტიმული ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის.**

**დარწმუნებული ვარ, ეს პარტნიორობა განავითარებს თბილისისა და ბათუმის ურბანულ იერსახეს, შექმნის ახალ მიზიდულობის ცენტრებს და კიდევ უფრო გაამყარებს საქართველოს, როგორც რეგიონული ლიდერის და რეგიონის მთავარი საინვესტიციო ცენტრის სტატუსს. ჩვენი მთავრობის პოლიტიკაა, მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი სწორედ ასეთ სტრატეგიულ ინვესტიციებს, რომლებიც ქმნის სამუშაო ადგილებს, აძლიერებს ჩვენს ეკონომიკას და განამტკიცებს საქართველოს პოზიციებს გლობალურ საინვესტიციო რუკაზე“,** – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

# ირაკლი კობახიძე: სრულიად ახალი მიდგომით ვიწყებთ ენერგეტიკული პოლიტიკის წარმოებას...

„ჩვენ ვსაუბრობდით ენერგეტიკის სფეროში არსებულ არასწორ პრაქტიკებზე. **შესაბამისად, რაც იყო არასწორი, იმას სჭირდება გადახედვა და ვიწყებთ სრულიად ახალი მიდგომით ისეთი ენერგეტიკული პოლიტიკის წარმოებას, რომელიც იქნება მაქსიმალურად მისაღები როგორც ქვეყნისთვის, ასევე ენერგეტიკის სფეროში ჩართული კერძო კომპანიებისთვის.**

**ნახავთ კონკრეტულ ნაბიჯებს. ეს ნაბიჯები, რაც გადაიდგა, ანუ, კონკრეტული მიმართულებებით პროცესების შეჩერება, ესეც ემსახურებოდა ენერგეტიკული პოლიტიკის გადახედვას. ყველაფერი იქნება გამჭვირვალე და ყველაფერი მოემსახურება ჩვენი მიზნის მიღწევას – თვითკმარობის უზრუნველყოფას. მთლიანად პრაქტიკა იყო პრობლემური. ჩვენ მაქსიმალური ყურადღებით ვიქნებით გადართული ენერგეტიკული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებაზე. მათ შორისაა მსხვილი პროექტები, რომლებიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს. ძალიან მალე ნახავთ სიახლეებს ამ მიმართულებით. ჩვენ განვიხილავთ სახელმწიფოს ჩართულობასაც, თუმცა, რა თქმა უნდა, კერძო ჩართულობაც განიხილება. შეიძლება იყოს შერეული პროექტები“,** – განაცხადა პრემიერმა.

## ბრიტანელი მაგისტრი ქართული ღვინით აღტაცებულია

**დიდი ბრიტანეთის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Swirl Wine Group“ ორგანიზებით, საქართველოს ბრიტანეთიდან სომელიეების, ღვინის იმპორტიორების, მედიისა და „Swirl Wine Group“-ის წარმომადგენლების 12-კაციანი ჯგუფი სტუმრობდა, – ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.**

უწყების ცნობით, ბრიტანელმა სტუმრებმა ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები და მარნები, ქართლში, იმერეთსა და რაჭაში დაათვალიერეს.

**„საქართველოში, 10 წლის განმავლობაში არაერთი სტუმრობის მიუხედავად, ეს ჩემი პირველი ვიზიტია იმერეთსა და რაჭაში. დასავლეთ საქართველოს ღვინოები გამორჩეულია სიმსუბუქით, რაც ძალიან პოზიტიურია, მათ აქვთ ბევრი კაშკაშა არომატი და ჰარმონიულად ეწყობა აღმოსავლეთის უფრო მრავალფეროვან ღვინოებს. ფანტასტიკურია ის პროფესიონალიზმი და თავდადება, რომელიც ნამდვილად იკვეთება დასავლეთ საქართველოს მეღვინეობებში.**



**ჩვენ დავაგემოვნეთ საოცარი ღვინოები – თეთრი, ვარდისფერი, ქარვისფერი და წითელი. პროგრესი, რომელიც მიღწეულია რაჭაში, იმერეთსა და ქართლში, მართლაც არაჩვეულებრივია და, ვფიქრობ, რომ ჩვენ ვიხილავთ ამ ღვინოების უფრო და უფრო მეტ იმპორტს დიდ ბრიტანეთში. მდიდარ და ინტენსიურ კახურ, ასევე, ქართლის კაშკაშა არომატებთან ერთად, იმერეთსა და რაჭაში აღმოჩენილი ღვინოები სრულყოფილებაა“,** – აღნიშნა „Swirl Wine Group“-ის ხელმძღვანელმა, ღვინის მაგისტრმა **სარა ებოტიმ.**

რეგიონული ტურის გარდა, ბრიტანელი ღვინის პროფესიონალებისთვის თბილისში გაიმართა სპეციალური დეგუსტაცია „Walk-around Tasting“, რომლის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 16 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინო.

## სტუმარ-მასპინძლები – კახეთის ზვრებში



**საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ნიდერლანდების ვეტერანთა ინსტიტუტის დირექტორი, ბრიგადის გენერალი პოლ ჰოპსლოტი და ამავე ინსტიტუტის მკვლევარი ჰიელტ ალჰრა, კახეთში ომის ვეტერან მევენახეებსა და მეღვინეებს ეწვივნენ.**

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ინფორმაციით, სტუმრებს მეგზურობას უწევდა სამსახურის დირექტორი, გენერალ-მაიორი **კობა კობალაძე,** რეგიონული მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად.

როგორც პოლ ჰოპსლოტმა აღნიშნა, საქართველო ღვინის სამშობლოა და ჰოლანდიური მხარისთვის მნიშვნელოვანია ქართველი მევენახეების გამოცდილების გაზიარება, რადგან აგრარულ სექტორში დასაქმებული ჰოლანდიელი ვეტერანები დაინტერესებულნი არიან მევენახეობის განვითარებით.

კახეთის ტურნე, საგარეჯოში, ომის ვეტერანის, მევენახე **პაატა ბუზარიაშვილის** ვენახში სტუმრობით დაიწყო, შემდეგ ჰოლანდიელმა სტუმრებმა, მასპინძლებთან ერთად, გურჯაანში, ვეტერან **თეიმურაზ ზავრაშვილის** ღვინის მარანში გადაინაცვლეს, გაეცნენ ღვინის დაწურვის პროცესს, დააგემოვნეს ქვევრის ღვინო. სტუმრებში აღტაცება გამოიწვია ქართული ქვევრის ღვინის გემოვნურმა თვისებებმა და ქართველი კაცის დამოკიდებულებამ და განსაკუთრებულმა სიყვარულმა ტრადიციული მეღვინეობის მიმართ.

სტუმრებმა, ყვარლის მუნიციპალიტეტში, ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი დაათვალიერეს. მათ სურვილი გამოთქვეს, ენახათ ვეტერან **ვაჟა ციგროშვილის** ვენახები და გასცნობოდნენ ქარხანაში ღვინის წარმოების პროცესს. ღვინის ქარხანაში, ჰოლანდიელ სტუმრებსა და მათ ქართველ მასპინძლებს, მეგზურობა მეღვინე **თენგიზ ამონაშვილმა** გაუწია. გენერალმა პოლ ჰოპსლოტმა და ჰიელტ ალჰრამ გულწრფელი მადლიერება გამოხატეს ქართველი მასპინძლების მიმართ იმ უსაზღვრო სიყვარულისა და სტუმართმოყვარეობისთვის, რომელსაც ისინი საქართველოში ყოფნის დროს ყოველწუთიერად გრძნობდნენ.

## ბავშვებს – უსაფრთხო, თანამედროვე სკოლა!

**თბილისის N89 სკოლა მოსწავლეებისთვის უსაფრთხო, თანამედროვე შენობით ჩანაცვლდება.**



ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე, შენობის კონსტრუქციული ელემენტების დეტალური გამოკვლევის შედეგად მდგრადობის მნიშვნელოვანი პრობლემები გამოვლინდა.

სკოლა ევროსაბჭოს განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით აშენდება.

## კაკბები და გნოლები – ჭორვილის ფერმიდან

**ველური ბუნებისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს სპეციალისტებმა, ალგეთის ეროვნულ პარკში, წინასწარ შერჩეულ ლოკაციაზე, პოპულაციის აღდგენის მიზნით, ადგილობრივი სახეობა, 200 ფრთა კაკაბი და 200 ფრთა გნოლი ველურ ბუნებაში გაუშვეს,** – ინფორმაციას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს. **უწყების ცნობით, ალგეთის ეროვნულ პარკში გაშვებული ფრინველები, სოფელ ჭორვილას მეფრინველეობის ფერმიდანაა.**



**„ფრინველების ველურ ბუნებაში გაშვების პროცესში ველური ბუნების სააგენტოს უფროსი რევაზ ბეჟაშვილი და დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე ბესიკ ამირანაშვილი მონაწილეობდნენ. კაკაბი ველური ბუნების სახეობაა და ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული.**

**მისი საცხოვრებელი ადგილებია უტყეო, კლდიანი და ძეძვით დაფარული გორაკები; კაკაბი ფართოდ იყო გავრცელებული თბილისის ირგვლივ განლაგებულ მთებსა და გორაკებზეც, ხოლო გნოლი საქართველოში ბინადრობს, ზამთარში მომთაბარეობს; ცხოვრობს ბუჩქნარით შემოფარგლულ ველ-მინდვრებში, ყანებში და ზეგნებზე, ზღვის დონიდან 2600 მ-მდე.**

**მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2016 წლიდან ველური ბუნების ეროვნული სააგენტო ადგილობრივი ველური სახეობის ფაუნის გამრავლების და ბუნებაში აღდგენის პროექტს ახორციელებს. პროექტის ფარგლებში, ყოველწლიურად, კოლხური ხოხბის, კაკბისა და პორფირიონის (ხონთქრის ქათამი) პოპულაცია იზრდება“,** – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

კავკასიის სამ სახელმწიფოში — თბილისში, ბაქოსა და ერევანში, 2052 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ პაატა ნაცვლიშვილის მიერ გასაჯაროებულმა იდეამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს წამოწყება უთუოდ მიიპყრობს საერთაშორისო ყურადღებას, ახალ იმპულსს მისცემს კავკასიური რასის ფუძემდებლური როლისა და ადგილის უკეთ წარმოჩენას კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში.

ჰოდა, გადავწყვიტე გამოვხმაურებოდი პაატას ამ იდეას.

# კაცობრიობა ოლიმპიზმით ბრუნდება ფესვებთან




**ჰოდა, მოსალოდნელი ყველაფერია პაატა ნაცვლიშვილისგან, ის უნდა გაგიკვირდეს, ნაფიქრნააზრევით, საზოგადოების მორიგი გაოცება შეაგვიანდეს.**

ეს არ მოხდება. და აი, ამასწინათ, საკაცობრიოდ საყურადღებო კიდევ ერთი საკვირველი სიახლე გამოიტანა სამზეოზე ზედ დამატებული მსოფლიო სპორტის ჟურნალისტიკაში საქართველოდან ასტარტების ორი ახალი სამაგალითო წინადადებით: 1. ქართველი სპორტსმენები – სხვა ქვეყანათა ჩემპიონები; 2. ქართველი ოლიმპიელები სხვა ქვეყანათა დროშით. ესეც არ გამკვირვებია, ან რატომ უნდა მქონოდა ეს განცდა, როცა ახალი იდეა-წინადადებები მისი შემოქმედების თანამდევია მუდამ, მისებური შესაფერისობით და ცოტა უცნაური კონტექსტებითაც. ამჯერადაც სწორედ იმ თემაზე და იმ პიროვნებისგან გაჟღერდა სიახლე, რომელმაც დარწმუნებით იცის, რასაც აკეთებს, რასაც ფიქრობს და რასაც ამბობს. ყველაფერი დამაჯერებლად, მისებრ საკადრისად სიღრმისეული ერუდიციით, მიზნამდე მისასვლელი გზების მითითებითაც (და არა ფანტაზიით) სეოკის გემრიელ ჟურნალ „ოლიმპიელის“ ბოლო ნომრის ფურცლებზე წარმოაჩინა. ჰოდა, (მიხვდით ალბათ, ეს ჰოდაც, თხრობის მისეული მანერიდანაა) წარმოაჩინა ამ გამოცემის რედაქტორმა, ისევ და ისევ – **პაატა ნაცვლიშვილმა.**

* * *

**პაატას გარდა, არავინ დამიგულეგია საქართველოში (ავთანდილ ციგაძის წვლილი მუდამ დაფასდეგა), ისე ყოვლისმომცველი წვდომით გაეთავისა კაცოგრიოგის ოდითგანვე ისეთივე ყველაზე ჰუმანური მემკვიდრეოგა, როგორიცაა ოლიმპიზმი.**

ამ ცოდნით სრულად შეაბჯრულმა განუმტკიცა ბალავარი დაფუძნების (1989) პირველი დღიდანვე საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს (სეოკ). საქვეყნოდ გახდა ცნობილი, რომ კონფერენცია, რომელმაც შვა ეს ეროვნული, მაგრამ შინაარსით საკაცობრიო მნიშვნელობის ორგანიზაცია, არ იყო მხოლოდ იურიდიულად პროტოკოლური აქტით ჩანაფიქრის რეალიზება. დელეგატებისთვის და სტუმრებისთვის კონფერენცია იქცა (ამას იმ მიჩვარულ დროში არავინ მოელოდა), ოლიმპიზმის ისტორიისა და იდეალების, მასში ქართული ოლიმპიური სპორტის ადგილისა და მის უკიდეგანო სივრცეში მამოძრავებელი ენერგიით ჩართვის შესაძლებლობების თვალსაჩინო დემონსტრირებად. ეს იყო ღრმაშინაარსიანი, დასაბუთებით ცოდნის გალამპრება-განზოგადების უმაგალითო შემთხვევა ჩვენს სინამდვილეში, რომლის შემოქმედიც, დიახ, ისევ და ისევ – რისკის გაცნობიერებით, იყო **პაატა ნაცვლიშვილი** – სეოკის ამქვეყნად მოსავლინებლად, საორგანიზაციო კომიტეტის თანახელმძღვანელი.

* * *

**ეს წამძღვარეგა აუცილეგლად მივიჩნიე, რადგან ასე მოითხოვა ახალმა იდეამ და მისმა მოცულოგითმა მნიშვნელოგამ.**

**პაატა ნაცვლიშვილი** ამჯერად ქართულ-კავკასიური გულით უბიძგებს მსოფლიო ოლიმპიურ სამყაროს სიახლისკენ – ჩატარდეს ოლიმპიური თამაშები კავკასიაში.

გავეცნოთ ავტორის იდეას.

## კავკასიური ოლიმპიური სამკუთხედი



**ერთი შეხედვით, ეს წინადადეგა თუ იდეა, ისეთივე შეუძლეგელია, როგორც აქ გამოსახული ფიგურა, მაგრამ, მეორე მხრივ, პერსპექტივაში ისეთივე შესაძლეგელია, როგორც გევრი რამ, რაც თავიდან ასევე შეუძლეგელი ჩანდა, მაგრამ შესაძლეგელი აღმოჩნდა, მაგალითად – საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნა.**

წარმოიდგინეთ, რომ ტრანსკავკასიის სამმა ქვეყანამ, უფრო სწორად – ამ ქვეყნების დედაქალაქებმა ერთობლივად განაცხადეს პრეტენზია ოლიმპიადის მასპინძლობაზე.

ცალ-ცალკე მათი შანსი ძალზე მცირეა, იმის მიუხედავად, რომ ბოლო პერიოდში მათ (აზერბაიჯანმა და საქართველომ – განსაკუთრებით) დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების მასპინძლობის სერიოზული გამოცდილება დააგროვეს. ერთად კი შანსები იზრდება და შეიძლება თუნდაც 2052 წლის თამაშებზე, ამ ქვეყნების სპორტსმენთა ოლიმპიადაზე პირველად მონაწილეობის 100 წლისთავზე, კავკასიური ოლიმპიური სამკუთხედი არ იყოს, ერთი შეხედვით, ისეთი შეუძლებელი, როგორიც აქ გამოსახული სამკუთხედია.

2052 წელს კი არა, უკვე ახლა დიდი საერთაშორისო ასპარეზობები რამდენიმე სხვადასხვა ქვეყანაში იმართება. თავის დროზე საკმაოდ უჩვეულო ამბავი იყო 2002 წლის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება ორ ქვეყანაში – იაპონიასა და სამხრეთ კორეაში. დღეს ეს ორი ქვეყნის ერთობლივი მასპინძლობა უკვე ჩვეულებრივი პრაქტიკაა, და ასეთი სამკუთხედებიც ბეჯითად მკვიდრდება:

2023 წლის კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი იაპონიამ, ინდონეზიამ და ფილიპინებმა ჩაატარეს, 2025 წლის ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს ხორვატეთმა, დანიამ და ნორვეგიამ უმასპინძლეს. 2031 წლის ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს დანია, ისლანდია და ნორვეგია მიიღებენ, ფეხბურთელთა 2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატს აშშ, მექსიკა და კანადა ერთად უმასპინძლებენ.

ძნელია განსაზღვრო, რა იქნება წლების შემდეგ, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან კავკასიური ოლიმპიური სამკუთხედი არა მხოლოდ სპორტის, არამედ სამშვიდობო სამკუთხედადაც შეიძლება იქცეს და იგივე როლი შეასრულოს, რასაც ანტიკურ ოლიმპიადებში ოლიმპიური ზავი – ეკეჰეირია ასრულებდა.

და მაშინ ეს შეუძლებელი სამკუთხედი, პირობითად რომ დავურთეთ ჩვენს წინადადებას და რომლის ავტორია ჯეისონ ლიაო, აღარც ისეთი შეუძლებელი მოგვეჩვენება და, ვინ იცის, წლების მერე იმ კავკასიური ოლიმპიადის ლოგოდ სწორედ ასეთი „შეუძლებელი“ სამკუთხედი აირჩიონ.

ხოლო სამი დედაქალაქის აბრევიატურის ექვსივე შესაძლო ვარიანტიდან ანბანით, კეთილხმოვნებით, კენჭისყრით ან სხვა რამ კრიტერიუმით, დაე, ის აირჩიონ, რომელსაც ისურვებენ: თბიბაერ, თბიერბა, ბათბიერ, ბაერთბი, ერთბიბა, ერბათბი. კეთილხმოვნებით ალბათ თბიერბა ჯობია.

როგორია ოლიმპიადის მასპინძლად – თბიერბა – 2052!

* * *

**გავაგრძელოთ: ხომ არის მეცნიერულად შესწავლილი და აღიარეგული კავკასიის როლი მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში. სად არ ამოიკითხავთ, რომ კავკასია, იგერია კაცოგრიოგის ცივილიზაციის აკვანია.**

მსოფლიო გაიგებს, რომ საქართველო ერთ-ერთი უძველესი კი არა, ერთადერთი ცოცხალი და მოქმედი უძველესი მსოფლიო ცივილიზაციაა?!

ასე რომ, ზემოხსენებული იდეის განამდვილებისთვის ჯერ მზადება და შემდეგ თვით ოლიმპიადა, საბოლოოდ მიუჩენს ღირსეულ ადგილს ჩვენს პლანეტაზე იბერიას და კავკასიას თავისი ღვაწლით კაცობრიობის წინაშე.

ხომ არის კავკასია ცივილიზაციის აკვანი, ხომ არის საქართველო ვაზის და ღვინის სამშობლო,

ჰოდა,

**„თბილისი, ბაქო და ერევანი**
**რა კარგი თქმაა, რა დიდებული,**
**ეს ერთი ვაზის სამი მტევანი,**
**ერთ მარანშია დაკიდებული“**

**/ი. გრიშაშვილი/**

და აჰა, იდეის ავტორის მიერ შემოთავაზებულ აბრევიატურის ვარიანტებიდან პირველივე – თბიბაერ!

ჩვენც იდეის ავტორის დარად ვიტყვით: როგორია ოლიმპიადის მასპინძლად – თბიბაერ-2052!

* * *

**როგორც ხედავთ, საქმეში თავისთავად შემოდის და იდეას ამდიდრეგს – ოლიმპიადის სამი მასპინძელი ქალაქის „კავკასიური ოლიმპიური მარანი.“**

კაცობრიობა და მისი უდიდესი ჰუმანური მონაპოვარი – ოლიმპიზმი, პირველად ისტორიაში, მიუბრუნდება თავის ფესვებს, ოლიმპიადის დღეებში ორგანიზებულ, არა სიმბოლურ, არამედ ზღაპრულად მორთულ ნამდვილ კავკასიურ ოლიმპიურ მარანში შესვამს წარსულისა და თანამედროვეობის ურთიერთშეხვედრის, ერთიანობის, მსოფლიოში მშვიდობის, ძმობისა და სიყვარულის სადიდებელ სადღეგრძელოს.

**P. S. იდეას ზურგს უმაგრებს არაერთი ფაქტი, მათ შორის:**

– ანტიკური ეპოქიდან შემორჩენილი სარწმუნო ცნობები;

– „ბერძნების უძველესი კონტაქტები „ოქრომრავალ კოლხეთთან“ (ასე უწოდებდნენ ბერძნები საქართველოს), რომლებიც მიკენურ პერიოდს განეკუთვნება, აისახა ბერძნულ მითოლოგიაში (თქმულებები არგონავტებსა და ოქროს საწმისზე, კავკასიონზე მიჯაჭვულ პრომეთეოსზე და სხვა).“

– მესხური თამაშების ისტორია და ა.შ.

> **„ბერძნები ჩინებულად იცნობდნენ კოლხეთს, ვარაუდობენ, რომ ძლიერი იყო კოლხეთში ჰეკატეს, ჰერაკლეს, რეაკიბელე აზიას, ინდური შივას კულტიც კი, რომ რეა იგივე ფასისი იყო, რომ ოლიმპიური ასპარეზობა პელოპონესში კოლხეთიდან შევიდა“.**
>
> **ნ. კ. შპრინგელი**
> **„მედიცინის ისტორია“,**
> **fb.com „კოლხური ცენტრი“**

– უნდა იცოდეს მსოფლიომ ისიც, რომ ელადის მიწაზე დასაბამიდან არ დადგმულა, გარდა საკუთარისა, სხვა ქვეყნის წარმომადგენლის არქიტექტურული ქმნილება და ეს უფლება მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის დასაწყისში დაიმსახურა საქართველომ და მისმა ხელოვანმა **გიორგი შხვაცაბაიამ** – ოლიმპიაში აღიმართა ქანდაკება „ოლიმპიური ჩირაღდანი“.

**„კავკასია არის რეგიონი, სადაც ფაქტობრივად დაირწა დედამიწის ცივილიზაციის აკვანი**! დღემდე ევროპულ მეცნიერებაში თეთრი რასის აღმნიშვნელი ტერმინია „კავკასიური რასა“.

მოკლედ, ვიწყებთ იდეის ხორცშესხმაზე მუშაობას და ვთხოვთ ყველას, ვისაც რა და როგორ ხელეწიფება მოგვაწოდოს ფაქტები და წინადადებები, ჩაერთოს პროცესში. ყველაფერს გავასაჯაროებთ. სეოკმა აღმასკომის სხდომაზე უკვე განიხილა და მოიწონა იდეა.

აქედანვე, დროის მოგება ზევრად სასურველია, უნდა დავიწყოთ ყველა მნიშვნელოვანი საბუთის, ისტორიული თუ არქეოლოგიური მინიშნებების შეგროვება, რაც უფრო ახლოს და შთამბეჭდავად გააცნობს მსოფლიოს საქართველოს დასაბამიდან დღემდე. ის სამკუთხედი, რომელიც პაატამ სიმბოლურად დაასოცირა, სწორედაც – შეუძლებელს აქცევს შესაძლებლად.

რა თქმა უნდა, კოორდინატორის ფუნქცია თავის თავზე იდეის ავტორმა უნდა აიღოს.

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი 1989 წელს.**

## კარგი ამბები

### ფეხბურთი

**თბილისის დინამოს** 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ლეგენდების მატჩი. დინამო – აიაქსი 5:2 (0:2-ის შემდეგ). **გოლები:** დემეტრაძე (პენალტით), მერებაშვილი (3), იაშვილი; ბაბელი, ვან რიინი.

### ფიგურული სრიალი

**საფრანგეთის გრან პრი. ნიკა ეგაძე** – ბრინჯაო. მოკლე პროგრამაში – ვერცხლი.

### ქვიშის ჭიდაობა

**მსოფლიოს ჩემპიონატი. ოქრო** – მამუკა კორძაია, ლევან ქელეხსაშვილი.

### თავისუფალი ჭიდაობა

**სომხეთი.** 17-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირი. საქართველო – 7 მედალი. **ოქრო** – მათე ონიანი. **ვერცხლი** – ნიკა მაყიშვილი, ზურაბ გიგუაშვილი, გიორგი აბრამიშვილი. **ბრინჯაო** – გიორგი ნარიმანიძე, დაჩი ბარბაქაძე, დავით ტიკარაძე.

### კუნგფუ

**ჩინეთი.** მსოფლიოს საიუბილეო – მე-10 ჩემპიონატი. 1600-მდე მონაწილე 55 ქვეყნიდან. საქართველოს ნაკრები – 36(!) მედალი (2 ოქრო, 9 ვერცხლი, 25 ბრინჯაო) და გუნდური ტურნირის სპეციალური პრიზი.

### ჭადრაკი

**ბათუმი.** ევროპის გუნდური ჩემპიონატი ქალთა 36 და ვაჟთა 40 ნაკრების მონაწილეობით. **საქართველო** – 2 მცირე მედალი: **ოქრო** – ბელა ხოტენაშვილი (მეოთხე დაფა). **ვერცხლი** – ლელა ჯავახიშვილი (მესამე დაფა).

### ჩოგბურთი

**ვეტერანთა ლოპოტას თასი.** საპრიზო ფონდი – 35 ათასი ლარი. **გამარჯვებულნი** პირად თანრიგში – ზვიად კალმახელიძე, ნინო რამაზაშვილი.

### ნიჩბოსნობა

**კვიპროსი.** საერთაშორისო სერიის ეტაპი კანოე-კაიაკში. 150 მონაწილე 20 ქვეყნიდან. საქართველოს ნაკრები – 9 მედალი (6 ოქრო, 3 ვერცხლი) და გუნდური მე-4 ადგილი

# რძე სასარგებლოცაა და... სახიფათოც

**სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში, სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფები სარეალიზაციო ბაზარზე განთავსებულ რძეს ამოწმებენ. კონტროლდება რეალიზაციის პირობები (ეტიკეტი, ვადები, ტემპერატურული რეჟიმი), უფლებამოსილი პირები იღებენ რძის ნიმუშებს სხვადასხვა მაჩვენებელზე გამოსაკვლევად,** – ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

მათივე ცნობით, გარდა სავაჭრო ობიექტებისა, ნედლი რძის ნიმუშების აღება (იმ ნედლეულის, რომლისგანაც იწარმოება სხვადასხვა დასახელების რძის ნაწარმი) ხორციელდება რძის შემკრები პუნქტებიდან და გადამამუშავებელი საწარმოებიდან.

**„აღსანიშნავია, რომ რძე ლაბორატორიულად მოწმდება 24 მაჩვენებელზე. მათ შორისაა ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენების (ანტიბიოტიკების), აფლატოქსინ M1-ის, ბრუცელოზის, ტყვიის განსაზღვრა და სხვა. კომპლექსური კონტროლის პარალელურად, სააგენტო მოუწოდებს მომხმარებელს, არ შეიძინოს რძე არაორგანიზებული ვაჭრობის ადგილებში, სადაც არ არის დაცული სურსათის მიკვლევადობა. შეუმოწმებელი ცხოველური წარმოშობის სურსათის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში დაავადებებით ინფიცირების რისკი მაღალია“**, – წერია ინფორმაციაში.

## ვითომ ჩვენი კრიმინალები გვაკლდეს...

**სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში შემოტანის ფაქტი აღკვეთეს – დაკავებულია თურქეთის მოქალაქე.**

**„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე – 1995 წელს დაბადებული ს.ბ. დააკავეს.**

**მას ბრალი ედება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანაში. სამართალდამცველებმა სასაზღვრო გამშვები პუნქტი „სარფის“ ტერიტორიაზე, ბრალდებულის შემოწმების შედეგად, სამ შეკვრად დაფასოებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.“**

## მიღება არ გვეშლება, მაგრამ...

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტისა და სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების მჭიდრო კოორდინაციით, მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოდან უცხო ქვეყნის 30 მოქალაქე გააძევეს.**

შსს-ს ცნობით, ბოლო დღეებში ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, ქვეყნიდან გააძევეს: **ინდოეთის, ირანის, თურქეთის, პაკისტანის, ერაყის, ეგვიპტის, ლიბანის, მაროკოს, ფილიპინების, იორდანიის, ბანგლადეშის, კანადის, კოტ დ'ივუარის და რუმინეთის, ჯამში, 30 მოქალაქე. „მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაძევებულ პირებს ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა დაუწესდათ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი წარმოადგენს ქვეყნის შიგნით უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე პასუხისმგებელ ორგანოს. მის ერთ-ერთ კომპეტენციას წარმოადგენს საქართველოში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების გამოვლენა და საქართველოდან გაძევების განხორციელება“**, – აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.

## არც ყავასა და ტკბილეულს ვენდოთ?!

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან კოორდინაციით ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონო დამზადება-გამოყენების ფაქტზე საქართველოს მოქალაქეები გ.ა. და ფ.დ. დააკავეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებს მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღების მიზნით ქალაქ თბილისში მოწყობილი ჰქონდათ კუსტარული საწარმო, სადაც სისტემატურად ახორციელებდნენ, ძირითადად, ტკბილეულის და ყავის დამზადებას, რის შემდგომაც ახდენდნენ აღნიშნული პროდუქციის Raffaello-ს და Jacobs Monarch-ის სასაქონლო ნიშნით უკანონო ნიშანდებას და რეალიზაციას.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ გამზადებული 10 000 ერთეულზე მეტი Jacobs Monarch-ის სასაქონლო ნიშნით უკანონო ნიშანდებული ერთჯერადი ყავა და 2 400 ერთეულზე მეტი Raffaello-ს სასაქონლო ნიშნით უკანონო ნიშანდებული ტკბილეული. ასევე, ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი და ამოღებული იქნა



ყავა Jacobs Monarch-ის და Carte Noire-ის სასაქონლო ნიშნით უკანონო ნიშანდებული ლენტები, ვადაგასული ტკბილეულის, Kinder Schokolade-ს, Jacobs Monarch-ისა და Raffaello-ს ყუთები, ყალიბები, ბეჭდები და ზემოხსენებული პროდუქციის შეფუთვისა და წარმოებისათვის განკუთვნილი ტექნიკური დანადგარები.

---

**ნათელა ვასაძე შვილებით – მარიკა, ირინე, ზურაბ შხვაცაბაია, გიორგი კარტოზია მწუხარებით იუწყებიან სიძის, გულმართალი, გულალალი და ღირსეული მამულიშვილის**



# გოჩა ჩხეიძის

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს, სანათესაოს და სამეგობროს.**

**დაკრძალვა 23 ოქტომბერს, 14 საათზე. გამოსვენება საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კოლეგას, გაზეთის პიარისა და მარკეტინგის მენეჯერს რუსუდან ქოჩულიას უსაყვარლესი ბიძის**



# თემურ ქაჯაიას

**გარდაცვალების გამო.**

---

**ქ. თბილისი, სპ. კედიას ქ. N7**

**ორგანიზაციის დასახელება: შპს "რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნული ცენტრი". აცხადებს საჯარო აუქციონს „ცენტრი"-ს შემდეგ ფართზე: I სართული – ლიტერი „ბ" – (მარჯვენა ფლიგელი)**

- **ლოტი 1- 50.00 კვ.მ ოთახების შიდა დანომვრა N38-41;**
- **ლოტი 2-43,3 კვ.მ. ოთახების შიდა დანომვრა N42; 44; 48; 49**
- **ლოტი 3-46,20 კვ.მ. ოთახების შიდა დანომვრა N45; 46; 47**

**აუქციონს იჯარის წესით გაცემაზე.**

**აუქციონზე საიჯარო ქირის საწყისი ღირებულება 1კვ.მ-ზე :**

**1კვ.მ- 11ლარი დღგ-ს ჩათვლით.**

**„ბე"-ერთი თვის საიჯარო ქირა.**

**ბიჯი –1 ლ. 1 მ²-ზე.**

**საიჯარო ვადა განისაზღვროს 4 წლით.**

# იჯარა

**მოიჯარე ვალდებულია გამიჯნოს და დროულად გადაიხადოს კომუნალური გადასახადები.**

**გაუფრთხილდეს საიჯარო ქონებას.**

**გაითვალისწინოს მეიჯარის საქმიანობის სპეციფიკა. უპირატესად ჩაითვლება ანალოგიური ტიპის საქმიანობის გაწევა -კერძოდ შშმპ-თა მომსახურება.**

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი**

**დოკუმენტაცია:**

**„ბე"-ს გადახდის ქვითარი. შემდეგ რეკვიზიტებზე: შპს „რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნული ცენტრი"; ს.კ.202059388. ს.ს საქართველოს ბანკი**

**ა.ა.GE29BG0000000895329300**

**პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.**

**იურიდიული პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.**

**ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.**

**საჯარო აუქციონში მონაწილეობა შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.**

**საწარმოს პრივატიზების შემთხვევაში მანამდე არსებული ყველა შეთანხმება ითვლება ბათილად.**

**საწარმო იტოვებს საიჯარო ხელშეკრულების ყოველწლიური გადახედვის უფლებას. ხელშეკრულების პირობებში ჩადებულია მუხლი, რომ საწარმოს სამეწარმეო საქმიანობისათვის საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ხელშეკრულების ვადამდელი შეწყვეტა.**

**აუქციონში მონაწილეობის მსრუველთა განცხადების მიღება იწარმოებს გაზეთში გამოცხადების დღიდან არანაკლებ 10 კალენდარული დღისა.ელ. ფოსტა teoeristavi@yahoo.com.**

**აუქციონი გაიმართება შპს „რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნული ცენტრი"-ს შენობაში 2025 წლის 3 ნოემბერს 14:00. მისამართზე: თბილისი, სპ. კედიას ქ. N7, მე-2 სართული ტელ:032 34-80-47.**

# დავით თორაძის სადიდებელი... და არამარტო

**იტალიის ქალაქ ფლორენციაში, ფრანკო ძეფირელის ფონდის დარბაზში, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და იტალიაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ლექსო თორაძის ფონდის ორგანიზებით პირველად გაიმართა ქართველი კომპოზიტორის – დავით თორაძის საავტორო მუსიკის საღამო.**

პროექტის მიზანი კომპოზიტორის შემოქმედების პოპულარიზაცია და საერთაშორისო არენაზე ქართული მუსიკის სათანადოდ წარმოჩენაა.

ღონისძიებას დაესწრო საქართველოს კულტურის მინისტრი **თინათინ რუხაძე**, რომელიც იტალიაში სამუშაო ვიზიტით ჩავიდა.

კონცერტზე შესრულდა დავით თორაძის კლასიკური ნაწარმოებები და მისი ცნობილი კინომუსიკა, რომელსაც ქართული კინოს „ოქროს ფონდში“ განსაკუთრებული ადგილი უკავია.



ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა ქართველმა მუსიკოსებმა: **გიორგი ანდღულაძემ, ქეთი მელუამ, იანო ალიბეგაშვილმა, ნატო მეტონიძემ, ლელა მჭედლიძემ, ლევან დეისაძემ, დიმიტრი საკანდელიძემ** და **მეკო ქავთარაძის** ახალგაზრდულმა კაპელამ. საღამო მუსიკალურად გააფორმა სკარლატის სახელობის ორკესტრმა **ნიკა ნიკვაშვილის** დირიჟორობით.

აღსანიშნავია ქართველი ბანის – გიორგი ანდღულაძის წვლილი ამ პროექტის განხორციელებაში. სწორედ მისი ინიციატივითა და მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი როგორც ძეფირელის სახლ-მუზეუმში კონცერტის გამართვა, ისე Orchestra Domenico Scarlatti-სთან უსასყიდლო თანამშრომლობა.

კონცერტის პარალელურად, ძეფირელის ფონდის დარბაზში მოეწყო ქართული ეროვნული სამოსისა და აქსესუარების გამოფენა.

**„ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ წარადგენს ქვეყანა თავს მსოფლიოს წინაშე. ფლორენციაში, რომელსაც მსოფლიო ხელოვნების მექას უწოდებენ, ჩვენ წარვდექით უმაღლესი ხარისხის პროფესიული მუსიკით. ეს იყო ჩვენი ოქროს ფონდის, შესანიშნავი შემსრულებლების, მუსიკოსების, ორკესტრის საუკეთესო გამოფენა.**

**ძალიან ბევრი ნიჭიერი ადამიანი გვყავს ხელოვნებაში. ამ ენას არ სჭირდება თარგმანი, – ეს არის ის, რაც გულს ათბობს და რაც ქვეყნისთვის პირდაპირ ჭრის გზას“,** – განაცხადა თინათინ რუხაძემ.

დავით თორაძისადმი მიძღვნილ საღამოს ადგილობრივი ხელისუფლებისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, ქართული დიასპორის წევრები და მაღალი რანგის სტუმრები დაესწრნენ.



# კულტურის მინისტრი იტალიაში — ქართველებთან

**საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე სამუშაო ვიზიტით იტალიაში იმყოფება.**

მინისტრი, პარლამენტის ვიცე-სპიკერ ნინო წილოსანთან, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან იტალიის რესპუბლიკაში – **თამარ ლილუაშვილთან** ერთად, ქალაქებში – ემპოლისა და ფლორენციაში არსებულ ქართულ საკვირაო სკოლებსა და სამრევლოსთან არსებულ ცეკვისა და სიმღერის ბავშვთა სტუდია „მამულს“ ესტუმრა. ამჟამად სკოლებში 30 მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს, შეისწავლოს ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, ქართული ცეკვა, სიმღერა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

ასევე, თინათინ რუხაძე ფლორენციის ქართულ სამრევლო ტაძარში არქიმანდრიტ მამა ანდრია ლაცაბიძესა და მრევლს შეხვდა.

**„იტალიაში ძალიან მნიშვნელოვან კულტურულ პროგრამას წარვადგენთ. საქართველოს პარლამენტის წევრებთან ერთად ვეწვიე საკვირაო სკოლებს, შევხვდით ჩვენი ემიგრაციის წარმომადგენლებს. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, იტალიაში ქართული კულტურის კერები არსებობდეს და ჩვენს მომავალ თაობას, რომელიც აქ იზრდება, ჰქონდეს ბმა საქართველოსთან. მათ ხელი უნდა შევუწყოთ, რათა ევროპაში ქართული კულტურის ერთგვარ ელჩებად ჩამოყალიბდნენ. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებებით, ქართულ კულტურას მაღალ დონეზე წარვადგენთ“,** – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**

# თბილისზე შეყვარებული დედა-შვილი

**ამ დღეებში ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისქალაქობისადმი მიძღვნილი ტრადიციული ღონისძიებების ფარგლებში, თბილისზე შეყვარებული ორი ხელოვანი ქალბატონის, დედა-შვილის ლანა გოცირიძისა და მარიამ (მარიკა) გორგაძის ნამუშევრების გამოფენას უმასპინძლებს.**

„ქალბატონი ლანაც და ქალბატონი მარიკაც თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონმა ლანამ ქანდაკების ფაკულტეტი დაამთავრა, ის ამავდროულად წარმატებით მუშაობდა გრაფიკასა და მიკროპლასტიკაშიც, ქმნიდა უნიკალურ ჭედურ ნამუშევრებს. მასვე ეკუთვნის განუმეორებელი ხელწერით შესრულებული, კალისგან შექმნილი რელიეფური ნამუშევრების სერია. უშრეტი ფანტაზიის ქალბატონმა ბოლო წლებში ახალი, განსხვავებული გზა იპოვა და საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ფუნქციადაკარგული სამკაულებისგან ქმნის ულამაზეს ზღაპრულ სამყაროს, მარიამ გორგაძის ბოლო გატაცება კი მანდალებია.

ქალბატონ ლანას ქალიშვილმა მარიამ გორგაძემ საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად კერამიკის ფაკულტეტი აირჩია. მან შექმნა მონუმენტური და დაზგური კერამიკული ნამუშევრები. ქალბატონ მარიკას ჯგუფურ გამოფენებთან ერთად ჰქონდა არაერთი პერსონალური გამოფენა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. მშობლის დარად მისი შესაძლებლობებიც არ შემოფარგლულა კერამიკით და საინტერესო ნამუშევრები შექმნა გრაფიკასა და ფერწერაში, ბოლო წლებში კი მარიკა გატაცებულია ავეჯის რესტავრაციითა და მოხატვით“, – წერია გავრცელებულ ინფორმაციაში,



# უკვე შვეიცარიელებსაც ვხიბლავთ

**ევროპული დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია EasyJet ჟენევასა და თბილისს შორის პირდაპირ ავიამიმოსვლას იწყებს. ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს. მისივე ცნობით, ახალი მარშრუტი მნიშვნელოვნად ამარტივებს საქართველოს მიმართულებით მგზავრობას შვეიცარიიდან და ზრდის ინტერესს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის მიმართ.**

„შვეიცარიული ონლაინ-გამოცემა Pichon Voyageur-ი სტატიას აქვეყნებს, სადაც საქართველოს ტურისტული და კულტურული მიმზიდველობა განსაკუთრებულად არის გამოკვეთილი. გამოცემის ჟურნალისტმა საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პრესტურის ფარგლებში იმოგზაურა.

სტატიაში საქართველო წარმოდგენილია როგორც **„ევროპასა და აზიას შორის მდებარე ქვეყანა, რომელიც მოგზაურობას სთავაზობს სულის სიმშვიდით, სიდინჯით და არაჩვეულებრივი პეიზაჟებით“.** ავტორი აქცენტს აკეთებს როგორც თბილისზე, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხეზე, ღვინის კულტურასა და ნაკლებად ათვისებულ ტურისტულ მიმართულებებზე. სტატიის ავტორი მოუწოდებს მკითხველს **„გეგმებისგან დამოუკიდებელი აღმოჩენებისკენ“**, საქართველოში მოგზაურობა კი წარმოდგენილია არა როგორც სწრაფი ტურისტული ვიზიტი, არამედ გამოცდილების ხანგრძლივი პროცესი.




თბილისი – ძველი და ახალი ქალაქის სინთეზი – გამოცემის თანახმად, თბილისის ძველი უბნები, აბანოთუბანი, ნარიყალას ციხე და საბაგირო იმ გამოცდილებათა ნაწილია, რომლებიც საერთაშორისო ტურისტებისთვის უკვე ცნობადია. ავტორი ასევე უსვამს ხაზს ქალაქის თანამედროვე ურბანულ ცხოვრებას და მის კულტურულ მრავალფეროვნებას.

სტატიაში გამორჩეულად არის აღნიშნული ქართული ღვინის ტრადიცია, რომელიც **„მხოლოდ სასმელი კი არა, ეროვნული იდენტობის ნაწილია“.** განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მთიან რეგიონებს, ბუნებრივ პარკებსა და სოფლების ავთენტურ გარემოს.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 24 ოქტომბერს**